# საქართველოს რესპუბლიკა



ⴈⴋⴈⴑⴇⴀⴌⴀ ⴜⴋⴈⴌⴃⴀ ⴑⴀⴕⴋⴄⴘⴈ, ⴐⴍⴂⴍⴐⴈⴚ ⴁⴄⴝⴃⴅⴈⴇⴈ ⴑⴈⴒⴗⴅⴀⴀ, ⴒⴗⴓⴈⴊⴄⴁⴈⴇ ⴃⴀ ⴝⴍⴐⴄⴁⴈⴇ ⴁⴓⴐⴇⴈⴑ ⴂⴀⴒⴀⴌⴀ ⴗⴅⴄⴊⴀ ⴓⴎⴀⴒⴈⴍⴑⴍⴁⴀⴆⴄ ⴓⴑⴀⴛⴀⴂⴊⴄⴑⴈⴀ.



დაარსებულია 1918 წელს.



ოთხშაბათი, 9 სექტემბერი, 2015 წელი.

№168 (7813)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.


## ბანერები და მავთულხლართები – ერთადერთი იარაღი ოკუპანტი ქალის ხელში



③

90-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოს კანონმდებლობით იმ ტერიტორიაზე არანაირი ავტონომიური მმართველობის ერთეული არ არსებობდა. 2007 წელს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების დროს დაშვებული იქნა დანაშაულებრივი შეცდომა – ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობამ, ისე რომ მთელ ტერიტორიაზე კონტროლს ვერ ახორციელებდა, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაცია შექმნა.



## საწვავის ბაზარი საქართველოში ② კვლავ მონოპოლიურია

## მიდიოდა რა ჩვენგან მიხეილ ⑤ სააკაშვილი...

## მევენახეებო, ② ნუ აჰყვებით პროვოკაციებს!

## რატომ უბიძგებენ რუსეთს, მოინანიოს საბჭოთა დიპლომატიის 1939 წლის აგვისტოს ოსტატური სვლის გამო ⑦



## ცალმხრივი სიმართლე

## თუ მოვინდომებთ, ქვეყნისთვის საკმაო კვერცხსაც დავდებთ და ეკონომიკურ წარმატებასაც გამოვჩეკთ



④

## ქვეყნები, საიდანაც საქართველოში მედიკამენტები შემოდის

## პოზიტიური ცვლილებები სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისთვის ⑥

## აშშ-ის არმიის სარდალი ევროპაში ⑧ „საგარეო აგრესიის“ შემთხვევაში თბილისს მხარდაჭერას დაჰპირდა

## ქვეყნები, სადაც ცხოვრება იაფი ⑪ დაგიჯდებათ

# ირაკლი ღარიბაშვილი ყირგიზეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ყირგიზეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავრობის ადმინისტრაციიდან აცნობეს, ჩინეთში ვიზიტამდე საქართველოს დელეგაცია ბიშკეკში ჩავიდა.**

მათივე ინფორმაციით, ბიშკეკის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ყირგიზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ერლან აბდილდაევი დახვდა.

მხარეებმა საქართველოსა და ყირგიზეთს შორის ურთიერთობების საკითხები განიხილეს და ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები დასახეს.

# სამუშაო ვიზიტით ჩინეთში გაემგზავრა

**9-13 სექტემბერს, ქალაქ დალიანსა და პეკინში ირაკლი ღარიბაშვილი არაერთ მაღალი რანგის შეხვედრას გამართავს.**

უფრო კონკრეტულად, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ქალაქ დალიანში მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში მიიღებს მონაწილეობას. მთავრობის მეთაური სიტყვით გამოვა სესიაზე — „თანამედროვე აბრეშუმის გზა“ („The Modern Silk Road“), სიტყვით მიმართავს ქალაქ პეკინში საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკის უნივერსიტეტში შეკრებილ პროფესორებს და მონაწილეობას მიიღებს დისკუსიაში.

ირაკლი ღარიბაშვილი ასევე დაესწრება დალიანის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ყოველწლიურ გახსნით ცერემონიას „Champions 2015“.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი შეხვდება ჩინელ კოლეგას ლი კეციანს. დაგეგმილია შეხვედრა ჩინეთის აბრეშუმის გზის ფონდის ხელმძღვანელობასთან, აზიის ინფრასტრუქტურისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტთან, ჩინეთის სავაჭრო პალატის გენერალურ მდივანთან, ასევე მონღოლეთის პრემიერ-მინისტრთან, დალიანის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან. გაიმართება შეხვედრები ისეთი მსხვილი კომპანიების წარმომადგენლებთან, როგორებიცაა: კორპორაცია „მიცუბიში“, კორპორაცია „Dongfang Electric Corporation“, კომპანია „Sab Labs China“, კომპანია „Transcosmos“.

ჩინეთში ვიზიტის ფარგლებში, იგეგმება რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელშეკრულების და მემორანდუმის გაფორმებაც.

გარდა ამისა, დაგეგმილია პრემიერ-მინისტრის ინტერვიუ წამყვან ჩინურ მედიასაშუალებებთან.

დელეგაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას 13 სექტემბერს დატოვებს.

**ნავთობი და პოლიტიკა**

# საწვავის ბაზარი საქართველოში კვლავ მონოპოლიურია

**საქართველოში ავტოგასამართ სადგურებზე სუპერ ოქტანობის ბენზინი ღირს 2.35 ლარი, ისევე როგორც 4 წლის წინათ, როდესაც მსოფლიო ფასი ნედლ ბარელ ნავთობზე იყო 110 დოლარი. არადა ახლა 50 დოლარს ქვემოთაა.**

როდის ტყუის საწვავის ბიზნესი — ახლა თუ მაშინ? საინტერესო ისაა, რომ ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა შეამოწმა და დააჯარიმა ამ ბიზნესის უმსხვილესი წარმომადგენლები, მაგრამ არც იმ დაჯარიმების კონკრეტული საფუძველი უნახავს ვინმეს და არც ახლანდელი სიტუაციის ახსნა. ეს ბადებს კითხვებს, რომ ეს ბიზნესი პოლიტიზებული და მონოპოლიზებულია. ამ ბაზარზე შესვლა თავისუფალი რომ იყოს, აუცილებლად ახალი სახეები და მონაწილეები გამოჩნდებოდნენ ამ ასპარეზზე და ბაზარი თვითონ დაარეგულირებდა ყველაფერს. და რადგანაც ეს ასე არაა, ბევრი კითხვა ჩნდება. ამასთან, საერთოდ არ მიმდინარეობს რაოდენობრივი და ხარისხობრივი კონტროლი, რაც ძალზე მნიშვნელოვანია მომხმარებელთა ინტერესების დაცვის კუთხით.

ცალკე განხილვის საგანია ე.წ. მინარევები, რომელსაც ბენზინს უმატებენ ოქტანობის ასამაღლებლად და რომელიც მომაკვდინებელია, როგორც ადამიანთა მოდგმის ჯანმრთელობისთვის, ისე გარემოსთვის.

ნავთობის ფასების უახლოეს ისტორიას თუ გადავხედავთ, ის მუდამ გამოიყენებოდა პოლიტიკური მიზნით. მას დასავლეთი იყენებდა რუსეთის მიმართ და რუსეთი მისი მეზობლების მიმართ.

1979 წელს (მსოფლიოს 70-იან წლების კრიზისის შემდგომ), როდესაც რუსეთის ჯარები ავღანეთში შეიჭრნენ, ნავთობის ფასი პიკზე იყო — ბარელზე 101 აშშ დოლარის ღირებულებით. (დღემდე უცნობია, რეალურად, რა უნდოდა საბჭოთა კავშირს ავღანეთში) ნავთობზე მაღალმა ფასებმა და დასავლეთ ციმბირში გაზრდილმა მოპოვებამ საბჭოთა კავშირს დიდი შემოსავალი მოუტანა. იმის ნაცვლად, რომ ეს ფული „შავი დღისთვის“ გადაენახათ, მთავრობამ ფული გამოიყენა „უცხოური თავგადასავლებისა“ და საკვების იმპორტის დასაფინანსებლად. 7 წლის შემდეგ (ძალიან საეჭვოდ, საუდის არაბეთის სათავეში ახალი მმართველის, ახალგაზრდა პრინცის მოსვლის შემდგომ, მან სასწრაფოდ გაზარდა მოპოვების ოდენობა და ოპეკმა ითამაშა თავისთავის საწინააღმდეგოდ) ბრენტის ტიპის ნავთობის ფასი ბარელზე, დაახლოებით, 30 დოლარამდე შემცირდა, რის შემდეგაც მიხეილ გორბაჩოვმა ქვეყანაში პერესტროიკა, დასავლეთთან კი კონვერგენცია გამოაცხადა.

ისტორიაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ნავთობზე მაღალი ფასები საბჭოთა კავშირის აგრესიის პირდაპირპროპორციული იყო, ტრადიციულად, როგორც კი შავ ოქროზე ფასები მცირდებოდა, საბჭოთა კავშირი უფრო დემოკრატიული და მეგობრული ხდებოდა დასავლეთის მიმართ და პირიქით, ფასებისა და, შესაბამისად, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის პარალელურად, კომუნისტური ქვეყნის აგრესიაც იზრდებოდა.



# მევენახეებო, ნუ აჰყვებით პროვოკაციებს!

**ღვინის ეროვნული სააგენტო რთველის მიმდინარეობასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ღვინის ეროვნული სააგენტოდან აცნობეს, საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, ღვინის ეროვნული სააგენტო რთველის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმირებას მუდმივ რეჟიმში მოახდენს.**

სააგენტოს ინფორმაციით, დღეისთვის რთველის საკოორდინაციო შტაბში დარეგისტრირებულია 51 ღვინის კომპანია, რომლებიც ყურძნის სიმწიფეში შესვლისთანავე მოსახლეობისგან ყურძნის შესყიდვას დაიწყებენ.

სახელმწიფო მზად არის 10 სექტემბრიდან შეისყიდოს ჭარბი ყურძენი დედოფლისწყაროს და სიღნაღის რაიონებში, სადაც ღვინის კომპანიების მხრიდან ყურძნის გადამუშავებით დაინტერესება ნაკლებია. რაც შეეხება მევენახეების მხრიდან უკმაყოფილებას ყურძნის ჩასაბარებელ ფასებთან დაკავშირებით და აქციების გამართვას, ეს პროცესები რთველის შეფერხებისა და ჩაშლის მცდელობის სახეს იღებს. ეს კი, ყველაზე მეტად აზარალებს კახელ მევენახეებს. ჩნდება ეჭვი, რომ ეს პროცესი ხელოვნურად არის მართული. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ, რომ კერძო ყურძნის გამყიდველი და მყიდველი თავად თანხმდებიან ყურძნის შესასყიდ რაოდენობაზე, ხარისხსა და ფასზე. სახელმწიფო ფასების რეგულაციაში არ ჩაერევა. ფასს არეგულირებს ბაზარი, - ნათქვამია განცხადებაში.

ღვინის ეროვნული სააგენტო კიდევ ერთხელ მოუწოდებს მევენახეებს, ნუ აყვებიან პროვოკაციებს და აგროვადების დაცვით მოახდინონ ყურძნის კრეფა.

ამასთან ერთად, გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს წნორის ქარხანა („ტიბაანი 2000“) მზად არის მოსახლეობისგან მიიღოს ყურძენი და საამისოდ ელოდება რთველის საკოორდინაციო შტაბის მითითებას, ეს არ შეესაბამება სიმართლეს — უკანასკნელ წლებში აღნიშნული ქარხნის ყურძნის გადასამუშავებელი სიმძლავრეები გამოიყენებოდა ღვინის სახელმწიფო კომპანიების მიერ და წნორის კომპანია წელს რთველის საკოორდინაციო შტაბში საერთოდ არ დარეგისტრირებულა, — ნათქვამია განცხადებაში.



**სააგენტოს ინფორმაციით, რთველის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ამომწურავი ინფორმაცია ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს ცხელ ხაზზე — 2 47 01 01.**

# „ღირსების დაუკარგავად უნდა ვემსახუროთ კანონის აღსრულებას“

**სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლებმა პროფესიული დღე აღნიშნეს. სისტემის თანამშრომელთა პროფესიულ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება წელს პირველად აღინიშნა და მას დაესწრნენ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ხელმძღვანელები, ასევე შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვახტანგ გომელაური. სასჯელაღსრულების მინისტრმა კახი კახიშვილმა თანამშრომლებს პროფესიული დღე მიულოცა და გიორგი მღებრიშვილსა და ვახტანგ გომელაურს ღონისძიებაზე დასწრებისთვის მადლობა გადაუხადა.**

კახი კახიშვილმა პენიტენციურ სისტემაში განხორციელებულ რეფორმებზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. მინისტრმა თანამშრომლებს ორი წლის განმავლობაში გაწეული შრომისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ 2012 წლიდან ფაქტიურად იწერება სისტემის ისტორია. მისივე თქმით, სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელები სოზარ სუბარი და გიორგი მღებრიშვილი გუნდთან ერთად ყველაფერს აკეთებდნენ, რათა წლების განმავლობაში დამკვიდრებული ძალადობრივი სისტემა მოშლილიყო. კახიშვილის განცხადებით, ძალიან ბევრი რამ გაკეთდა ინფრასტრუქტურის კუთხით. მან განსაკუთრებით გამოყო მე-16 დაწესებულება და ასევე მე-6 მაღალი რისკის დაწესებულება, რომელიც მალე გაიხსნება.



მინისტრმა სისტემური, გლობალური რეფორმის რისკების დაყოფისა და პატიმრებზე ზრუნვის შესახებაც ისაუბრა. ასევე ყურადღება გაამახვილა სისტემაში ჯანდაცვის მიმართულებით გაწეულ სამუშაოზე და პრეპარატ „სოფოსბუვირით“ C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამაზე. კახიშვილის ინფორმაციით, ორი წლის განმავლობაში საპატიმრო დაწესებულებიდან სამოქალაქო კლინიკებში გადაიყვანეს 5 381 პატიმარი. მინისტრმა სამინისტროს ახალ იმიჯზე და სლოგანზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ სამინისტროს სლოგანია — კანონი და ღირსება.

„ღირსების დაუკარგავად ჩვენ უნდა ვემსახუროთ კანონის აღსრულებას“, — განაცხადა კახი კახიშვილმა.

მინისტრის ინფორმაციით, ასევე იგეგმება უარის თქმა ზოგიერთ გადასახადზე, რომელიც პრობაციის სამსახურში იყო დაწესებული.

ღონისძიების დასასრულს კახი კახიშვილმა პენიტენციური სისტემის 322 თანამშრომელი სხვადასხვა ჯილდოთი დააჯილდოვა და აღნიშნა, რომ ეტაპობრივად თითოეული მათგანის შრომა დაფასდება კანონით დადგენილი სხვადასხვა ფორმით.



# ბანერები და მავთულხლართები – ერთადერთი იარაღი ოკუპანტი ძალის ხელში

**2008 წლის აგვისტოს მოვლენების წლისთავმა კიდევ ერთხელ გააცოცხლა დისკუსია იმის თაობაზე, თუ რამდენად შეიძლებოდა საომარი მოქმედებების თავიდან აცილება და რამდენად ეკისრება პასუხისმგებლობა ამ მოვლენებისთვის საქართველოს იმჟამინდელ ხელისუფლებას.** ამ თემაზე მოსაზრება გამოვთქვი მეც, მათ შორის ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში ვცადე, მკაფიოდ წარმომეჩინა ყოფილი ხელისუფლების პასუხისმგებლობის ნაწილი და ამ ტელეგამოსვლაში ძირითადად ვსაუბრობდი სწორედ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე. საუბრისას ეს ძალა რამდენჯერმე ნაცვალსახელით მოვიხსენიე, რამაც ჩემს ოპონენტებს საშუალება მისცა, მანიპულაციის გზით შეეცვალათ ჩემი საუბრის შინაარსი. ზოგმა საინფორმაციო საშუალებამ, მათ შორის, მაგალითად გამოცემა „ტაბულამ“ ჩემი გამოსვლის ციტირებისას ნაგულისხმები ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ნაცვლად ფჩხილებში ჩაწერა „რუსეთი“, რამაც მთლიანად შეცვალა ჩემს მიერ გამოთქმული მოსაზრების შინაარსი.

„ტაბულას“ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ციტატაში: „რატომ არიან გამწარებული ჩვენზე დღეს ისინი (რუსეთი), რატომ გვიტევენ ასე – ისინი ხვდებიან, რომ თურმე შეიძლებოდა ომის თავიდან აცილება“, ასევე ამავე კომენტარის სათაურში: „ზაქარეიშვილი: რუსეთის რეაქციით კარგად ჩანს, რომ ჩვენ სწორად ვიქცევით“, არსებითად შეცვლილია შინაარსი. ამ ორივე შემთხვევაში მხოლოდ ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზეა საუბარი. როგორც ჩანს, ჩემს ოპონენტებს ჩემი დასაბუთებული სიმართლის წინააღმდეგ ნაცვალსახელებში ნაგულისხმევი სიტყვებით მანიპულაცია რჩებათ მხოლოდ. ამიტომ, ახლაც და მომავალშიც ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე საუბრისას ყოველთვის სრულად გამოვიყენებ ამ პარტიის სახელს, რათა ამგვარი მანიპულირება შეუძლებელი იყოს.

ამ პრინციპის გათვალისწინებით კიდევ ერთხელ დავუბრუნდები თემას, რომლის გამოც საზოგადოების ნაწილი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ხშირად აკრიტიკებენ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან 7 წლის შემდეგ რუსული ოკუპაცია კვლავ გრძელდება. სადღეისოდ ქართული საზოგადოებისთვის, საქართველოს იმ ნაწილისთვის, რომელიც გამყოფი ხაზების აქეთ ცხოვრობს, ოკუპაციის ყველაზე მეტად ხელშესახები და ნათელი გამოხატულება ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერები და მავთულხლართებია, რომლებსაც რუსი სამხედროები აქტუალობიდან გამომდინარე სხვადასხვა ინტენსივობით ამონტაჟებენ. ამ პროცესზე მტკივნეულად რეაგირებს ქართული საზოგადოება და ამ საზოგადოების ნაწილი სახიფათოდაც. სწორედ ეს ბანერებია ოკუპანტი ძალის ხელში ერთადერთი, ყველაზე თვალსაჩინო იარაღი და მათი დადგმის, ყველაზე უარეს, ცალკეულ შემთხვევაში კი რამდენიმე ასეული მეტრით თვით ოკუპირებული ტერიტორიის შიგნით გადაადგილების გარდა ეს ძალა სხვა ნაბიჯებს ველარ დგამს. საქართველოს ხელისუფლებას ხშირად საყვედურობენ საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლები, უმეტესად კი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები, რომ პროცესს თითქოსდა, მშვიდად ვუყურებთ. ეს ბრალდება სრულიად უსაფუძვლოა, რადგან ხელისუფლების ყველა შესაბამისი შტო მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს იყენებს პროცესის შესაჩერებლად და რუსეთზე საერთაშორისო ზეწოლის გასაძლიერებლად. ამასთან, მიმაჩია, რომ სწორედ ეს ბანერებია საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების მშვიდობიანი პოლიტიკის შედეგის საზომი, რამდენადაც ბანერები და მავთულხლართებია ერთადერთი აგრესიული იარაღია, რაც კი დარჩა ოკუპანტს იმ ფონზე, როდესაც ბანერებიდან რამდენიმე კილომეტრში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში აშენებული მძლავრი სამხედრო ბაზები და სხვა საინჟინრო ნაგებობებია განლაგებული. სამხედრო ბაზების არსებობის, ასევე იმ პირობებში, როცა ჩვენსა და ოკუპანტ ძალას შორის არ დგას არანაირი სამშვიდობო ძალა, ჩვენ ვახერხებთ ვითარების ესკალაციის თავიდან აცილებას და ბოლო, თითქმის 3 წლის განმავლობაში საბრძოლო მოქმედებების წინაპირობების მსგავსი სიტუაციაც კი არ შექმნილა.

სურათის გაანალიზებისას ურიგო არ იქნება, თუ გავიხსენებთ თანამედროვე ევროპაში და საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებში არსებული კონფლიქტების მაგალითებს. მაგალითად, მთიან ყარაბაღში თითქმის ყოველ კვირას ფიქსირდება მსხვერპლი, კვიპროსსა და კოსოვოში დღემდე დგანან სამშვიდობო ძალები და ამგვარად ინარჩუნებენ მშვიდობას. საქართველოს ხელისუფლების პრაგმატული პოლიტიკის შედეგად კი არ გვაქვს დამატებით დაკარგული ქალაქები და სოფლები, არ გვყავს დამატებითი დევნილები და რაც მთავარია, არ გვყავს საომარი მოქმედებების შედეგად გარდაცვლილი ადამიანები. სამწუხაროდ, ბანერებისა და მავთულხლართების მიღმა ჩვენი მოქალაქეების მიწების მოქცევა პრობლემად რჩება, თუმცა ხელისუფლება ახორციელებს სხვადასხვა პროექტს გამყოფ ხაზთან არსებული სოფლების პრობლემების მოსაგვარებლად.

საყურადღებო თემაა თავად ბანერებისა და მავთულხლართების გავლების პერიმეტრი. 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა საერთაშორისო სამართლის და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მოახდინა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, რომლებიც ძირითადად ემთხვევა და მოიცავს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიას. ეს იყო ნაციონალურ-ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეული საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის დროს, რომელიც 90-იან წლების დასაწყისში გაუქმდა. ანუ 90-ინი წლების დასაწყისიდან საქართველოს კანონმდებლობით იმ ტერიტორიაზე არანაირი ავტონომიური მმართველობის ერთეული არ არსებობდა. 2007 წელს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების დროს დაშვებული იქნა დანაშაულებრივი შეცდომა – ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობამ, ისე რომ მთელ ტერიტორიაზე კონტროლს ვერ ახორციელებდა, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაცია შექმნა. დროებითი ადმინისტრაციით შეიქმნა პრეცედენტი. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ კი დაშვებული იქნა კიდევ უფრო მძიმე დანაშაულებრივი შეცდომა. მაშინდელმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებამ კანონში ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, მკაფიოდ განსაზღვრა, თუ რომელი ტერიტორიაა ოკუპირებული. კანონში წერია:

მუხლი 2. ოკუპირებული ტერიტორიები და საზღვაო ზონები

ამ კანონის მიზნებისათვის ოკუპირებული ტერიტორიები და საზღვაო ზონებია (შემდგომ – ოკუპირებული ტერიტორიები):

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიები;

ბ) ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები);

ანუ საბჭოთა კავშირის დროს არსებული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორია საქართველოს ხელისუფლებამ, ყოველგვარი მცდელობის გარეშე, უბრძოლველად ჩათვალა ოკუპირებულად. ამით საქართველოს ხელისუფლებამ იმთავითვე განაცხადა, რომ რაც იქ ხდებოდა, მას არ ეხებოდა. რამდენადაც ვინმეს უცნაურად არ უნდა მოეჩვენოს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებისა და საოკუპაციო რეჟიმის ლოგიკა ერთმანეთს დაემთხვა. აი, აქ კი შეიძლება ერთიანი ნაციონალური მოძრაობასა და რუსეთს შორის ტოლობის ნიშნის დასმა.

დაინტერესებულ პირებს 2008 წლის აგვისტოში მოვლენების იმგვარად განვითარებაში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების მიერ დაშვებულ დანაშაულებრივ შეცდომებსა და პასუხისმგებლობის ხარისხზე ინფორმაციას შეუძლია გაეცნოს ვრცელ სტატიაში, რომელიც გაზეთ „კვირის პალიტრის“ ვებგვერდზე 2014 წლის 8 აგვისტოს გამოქვეყნდა: http://www.kvirispalitra.ge/politic/22522-rogor-mivedith-2008-tslis-omamde-anu-rusuli-politikis-realizacia-qnacionaluradq.html

**პაატა ზაქარეიშვილი,**
**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი**



**ალიან-ჩალიანი**

## ვენესუელელთა დელეგაცია აფხაზეთს ესტუმრა

**„2009 წლის სექტემბერში ვენესუელამ, რუსეთის მხრიდან განხორციელებული ზეწოლის შედეგად, აღიარა საქართველოს ოკუპირებული რეგიონების „დამოუკიდებლობა“, რითიც უხეშად დაარღვია საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპები, მათ შორის საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა. შესაბამისად, კარაკასსა და სოხუმს შორის ნებისმიერი შეთანხმება, იქნება ეს ვენესუელაში „აფხაზეთის საელჩოს“ გახსნა, „აფხაზეთში ვენესუელის ელჩის“ დანიშვნა და რწმუნებათა სიგელების გადაცემა, ე.წ. „უვიზო რეჟიმის“ შემოღება თუ სხვა, იმთავითვე უკანონოა და, საერთაშორისო სამართლის თანახმად, იურიდიულ შედეგებს არ წარმოშობს.**

**სამწუხაროა, რომ ვენესუელა, რუსეთის კვალდაკვალ, აგრძელებს საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევას და უგულებელყოფს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას“, – აღნიშნულია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.**

**რამდენიმე დღის წინათ აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო უწყებაში ვენესუელის დელეგაციას უმასპინძლეს. დელეგაციის წევრებს ე.წ. პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა შეხვდა. მხარეებმა რამდენიმე შეთანხმების გაფორმებაზე ისაუბრეს, მათ შორის უვიზო რეჟიმის შემოღებაზე, ასევე თანამშრომლობის გაღრმავებაზე ტურიზმის, კულტურისა და ეკონომიკის სფეროში.**

## ძალიან დიდი საფრთხე იყო, რომ დიპლომატები პოლიტიკურ დებატებში ჩაეთრიათ



**საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩის ალექსანდრა ჰოლ ჰოლის განცხადებით, ძალიან დიდი საფრთხე იყო იმისა, რომ დიპლომატები პოლიტიკურ დებატებში ჩაეთრიათ. ამის შესახებ ელჩმა სასტუმრო „რუმსში“ მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციაზე „ევროპის ახალი გეოპოლიტიკური ლანდშაფტი: უსაფრთხოება, ეკონომიკური შესაძლებლობები, თავისუფლება და ადამიანური ღირსება ფრონტისპირა ქვეყნებში“ დისკუსიის დროს განაცხადა. მისი თქმით, საერთო შეფასებით, საქართველო პოზიტიურ გზას ადგას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი იდეალურადაა.**

## რუსმა სამხედროებმა აფხაზეთში სამხედრო წვრთნები დაიწყეს

**„აფსნი.რუს“ ცნობით, წვრთნებში აფხაზეთში მდებარე რუსეთის სამხედრო ბაზის 700 სამხედრო მოსამსახურე და 150 ერთეული უახლესი რუსული სამხედრო ტექნიკა მონაწილეობს, მათ შორის უახლესი ჯავშანმანქანებია.**

**სამხრეთის სამხედრო ოლქის პრესსამსახურის ინფორმაციით, აფხაზეთში მიმდინარე სამხედრო წვრთნების მთავარი მიზანია სამეთაურო შემადგენლობის მართვის სიახლეების ათვისება, სასწავლო ბრძოლის წარმოება საზღვაო სანაპიროს, მთიან და ტყიან პირობებში ავტომატიზებული და სამხედრო ტექნიკის უახლესი სახეობების გამოყენებით.**

ინტერპრესი

დარგი

# თუ მოვინდომებთ, ქვეყნისთვის საკმაო კვერცხსაც დავდებთ და ეკონომიკურ წარმატებასაც გამოვჩეკთ

**ცნობილია, რომ ქათმის ხორცი უაღრესად სასარგებლო პროდუქტია: ის ვიტამინებისა და მინერალების შეუცვლელი წყაროა ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის, მით უმეტეს, ბავშვებისთვის.**

**სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ქათმის ხორცი საქონლის ხორცთან შედარებით მეტ ცილას შეიცავს, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი შედარებით ადვილად ითვისებს, ამიტომ ქათმის ხორცი შეიძლება უფრო ხშირად მიირთვათ. ცნობილია, რომ ახალგაზრდა ფრინველის ხორცი უფრო ნოყიერი და სასარგებლოა, თანაც, მეხორცული ქათმის ხორცი უფრო მეტ ცილებს და ცხიმს შეიცავს, ვიდრე კვერცხის მდებელი ქათმისა, ამიტომ ის უფრო გემრიელიცაა და სასარგებლოც.**

**როგორც საქართველოს მეფრინველეთა ასოციაციის ხელმძღვანელი ზურაბ უჩუმბეგაშვილი ამბობს, მეხორცეული ქათმის მიმართულება საქართველოში სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული, რის გამოც ქართული ბაზარი საეჭვო ხარისხისა და წარმომავლობის პროდუქციით არის გაჯერებული, რომელსაც სხვა ქვეყნებში არც უშვებენ:**

**— ბატონო ზურაბ, რა ადგილი უკავია ქართულ ბაზარზე ადგილობრივი წარმოების ფრინველის ხორცს?**

— შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი წილი ამ ბაზარზე საკმაოდ მოკრძალებულია. იმპორტირებული ფრინველის ხორცი კი, ძირითადად ორი სახისაა — გაყინული და გაციებული. გაციებულ ქათამს ხალხში ნედლ ქათამს ეძახიან. ჩვენი კანონმდებლობით, ნედლი ქათმის სარეალიზაციო ვადა სულ რაღაც 24-48 საათია, იმპორტირებულ პროდუქტს კი, ეტიკეტზე ათდღიანი ვადა აქვს მითითებული ანუ 200 საათზე მეტი. მისი შენახვის ვადა გაზრდილია სხვადასხვა საშუალებებით, რომლის წყალობითაც ეს ნედლი კი არა, პრაქტიკულად, ბალზამირებული ხორცია. ეტიკეტზეც არ არის მითითებული, რომ იმპორტირებულ ფრინველის ხორცში გამოყენებულია აზოტი და სხვა სახის კონსერვანტები, ამიტომ მყიდველმა არ იცის, რის საფუძველზეა გაზრდილი პროდუქტის შენახვის ვადა. ადვილი მისახვედრია: როცა ადგილობრივი პროდუქტის შენახვის ვადა 24-48 საათია, ხოლო უცხოურისა - 200 საათზე მეტი, ისინი თავისთავად არათანაბარ პირობებში არიან ჩაყენებული. სხვათა შორის, შენახვის ვადის საკითხში ერთხანს აქტიურად ჩაერთო დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი, ითქვა, რომ რაღაც რეგულაციები უნდა მიეღოთ, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა. იმედია, მომავალში მაინც მიიღებენ. საბოლოოდ, ყველაფერი ისეა მოწყობილი და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ იმპორტი უფრო წახალისებულია საქართველოში, ვიდრე ადგილობრივი, ქართული წარმოება, თუმცა, ოფიციალურად აცხადებენ, ვეხმარებით და ხელს ვუწყობთ ადგილობრივ წარმოებასო...

**— სინამდვილეში ასე არ ხდება?..**

— ყოველ შემთხვევაში, მეფრინველეობაში წინსვლა ამ მიმართულებით არ იგრძნობა.

საზღვარი ისევ დაუცველია, ზედაპირული შემოწმება კი ხდება, მაგრამ ადგილობრივი წარმოება იმპორტულს კონკურენციას ვერ უწევს.

**— რა მდგომარეობაა გაყინული ქათმის ბაზარზე?**

— გაყინულ ქათამზე მსჯელობა კიდევ უფრო რთულია, ვიდრე გაციებულზე იმიტომ, რომ მისი წარმოების თარილი მთლიანად მომწოდებლის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული. მყიდველი ვერანაირად ვერ შეამოწმებს, როდის არის გამოშვებული პროდუქტი, რომელსაც ყიდულობს. ძალიან ხშირია შემთხვევა, როდესაც ეტიკეტზე თარიღი არასწორად არის მითითებული და საქართველოში შემოსულ საქონელს ან ვადა აქვს გასული, ან შენახვის ძალიან მცირე პერიოდი აქვს დარჩენილი. ასეთი პროდუქტის თვითღირებულება ყოველთვის უფრო დაბალია და რანაირად უნდა გაუწიოს მას კონკურენცია ქართულმა პროდუქციამ?

**— თუ შენახვის ვადები ხშირად დარღვეულია, მაშინ ხარისხზე რაღა უნდა ვთქვათ?**



— რაც შეეხება ხარისხს, ჩვენ ვიცით, რომ ევროპის ძალიან ბევრი ქვეყანა თავის საზღვარზე საერთოდ არ ატარებს ბრაზილიური ქათმის ხორცს იმიტომ, რომ მასში ზრდის ჰორმონებია გამოყენებული. ზრდის ჰორმონს შეუძლია ადამიანის ორგანიმზე ძალიან ცუდი გავლენა იქონიოს. ეს ის ჰორმონია, რომელიც ევროპული კანონმდებლობით კატეგორიულად არის აკრძალული ნებისმიერი სახის ხორცის წარმოებაში. ჩვენთან კი, მსგავსი საკითხების მიმართ ადრეც ლოიალური მიდგომა იყო და ეს მიდგომა დღემდე შენარჩუნდა: — ხალხი შიმშილობს, ეს ყველაზე იაფი პროდუქტია და რატომ უნდა ავკრძალოთ?! აღსანიშნავია ის ფაქტორიც, რომ ეს პროდუქცია ჩვენგან გადის შუა აზიის ქვეყნებში, აზერბაიჯანში და იმპორტიორებსაც ინტერესი აქვთ, რომ საქართველოში თავიანთი წარმომადგენლობა ჰქონდეთ.

**— გამოდის, რომ ადგილობრივი წარმოების ფრინველის ხორცი უცხოურთან შედარებით კონკურენტუნარიანი არ არის?**

— სამწუხაროდ, ასეა იმიტომ, რომ იქ სულ სხვა ტექნოლოგიებია, მეწარმეებს სულ სხვა წახალისება აქვთ და პროდუქციაც სულ სხვა ფასი უჯდებათ. ძალიან დიდი რაოდენობით ნედლი ქათამი შემოდის თურქეთიდან, როდესაც იქ ჭარბი წარმოება აქვთ და ველარ ყიდიან. ამ ბოლო დროს კი, მოდაში შემოვიდა შეუფუთავი ქათმის რეალიზაცია, ასეთი ქათმის ხორცი ჩვენთან გერმანიიდანაც კი შემოდის. ჩვენთან ხშირად ისეთი პროდუქცია შემოაქვთ, რომელიც ძალიან ბევრ ქვეყანაში უკვე ქსელიდან არის ამოღებული. ამასთან, ეს დარგი ყველა ქვეყანაში სუბსიდირებული და წახალისებულია, ჩვენ კი, თუ რაიმეთი დაბეგვრა, ან მაქსიმალური თანხის გადახდა შეიძლება, ყველანაირად ვიბეგრებით. რა გასაკვირია, რომ ამ პირობებში კონკურენციას ვერ ვუწევთ იმპორტირებულ პროდუქციას და თუ ასე გაგრძელდა, ვერც მომავალში გავუწევთ. ამიტომ, ქართველ მეწარმეს არანაირი ინტერესი არა აქვს წარმოება გაზარდოს და გააფართოოს. იქნებ, მთავრობაში ვინმე დაინტერესდეს, როგორ იცავენ თავს ამ სიტუაციისაგან ჩვენი მეზობელი ქვეყნები - თურქეთი, უკრაინა და რუსეთი? — მათ ისეთი მკაცრი ვეტერინარული და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები აქვთ დაწესებული, იმხელა ჩამონათვალი აქვთ დოკუმენტაციისა, რომელიც თითოეულ პარტიას თან უნდა ახლდეს, რომ თითქმის შეუძლებელია იმპორტიორმა ეს მოთხოვნები დააკმაყოფილოს. თურქეთში, მაგალითად, 30-მდე სხვადასხვა დასახელების ცნობა, საბუთი, ლაბორატორიული დასკვნა და სერტიფიკატი უნდა წარადგინო თითოეულ პარტიაზე, ანუ ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე. ამის გამო არანაირი ინტერესი აღარ გაქვს, რომ იქ შენი ნაწარმი შეიტანო. ძალიან მკაცრი რეჟიმია აზერბაიჯანსა და სომხეთშიც. ჩვენი ქვეყნის საზღვარზე კი, იმპორტირებული ფრინველის ხორცი თითქმის დაუბრკოლებლად შემოდის.

**— ბატონო ზურაბ, როგორც ვიცი, კვერცხის წარმოებაში უკეთესი მდგომარეობაა. როგორ მიაღწიეთ ამას?**

— ეს იმიტომ, რომ ვიბრძოლეთ, ვიაქტიურეთ და აგრესიული პოლიტიკა ვაწარმოეთ. ამასთანავე, იმპორტიორებს დოლარის გაქცევამაც დაუკარგა სურვილი ქართულ ბაზარზე კვერცხის შემოტანისა, თანაც, სად 15-20 დღის განმავლობაში გზაში ნამყოფი კვერცხი და სად — 2-3 საათის წინ ფაბრიკიდან მოწოდებული? — ამ ყველაფერმა იმუშავა და წელს უკვე ერთი ცალი კვერცხიც აღარ შემოსულა უცხოეთიდან, პირიქით, 14 მილიონი ცალი ერაყში გავიტანეთ. რა თქმა უნდა, მეხორცული მიმართულებაც ცდილობს, ამ შედეგს მიაღწიოს, მაგრამ ამას დრო და მხარდაჭერა სჭირდება. ყოველწლიურად 200 მილიონი დოლარი გადის ქვეყნიდან მეფრინველეობის პროდუქციის შემოსატანად. სულ პატარა დახმარებაც რომ გაგვიწიონ, როგორც კვერცხმა შემოიტანა ვალუტა ქვეყანაში, ასევე შემოიტანს ქათამიც. საერთოდ, ეს დარგი ხელშეწყობის გარეშე ვერ განვითარდება, მაგრამ ამ ეტაპზე ყველაზე დიდი ხელშეწყობა ის იქნება, ხელს თუ არ შეგვიშლიან.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

ინფორმაცია

# ქვეყნები, საიდანაც საქართველოში მედიკამენტები შემოდის

**საქართველოში მედიკამენტებს რამდენიმე მსხვილი ფარმაკომპანია აწარმოებს. თუმცა, ეს ზღვაში წვეთია. ფარმაცევტული ბაზარი ძირითადად იმპორტირებული მედიკამენტებით მარაგდება. საქსტატის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოში დაუფასოებელი და დაფასოებული სამკურნალო საშუალებები შემოდის.**

bpn.ge-მ საქსტატიდან იმპორიტრებული მედიკამენტების სტატისტიკა გამოითხოვა, რომელიც 2000-2014 წლებს მოიცავს. ამ მონაცემებიდან ირკვევა, რომ დაუფასოებელი მედიკამენტების ყველაზე მსხვილი იმპორტიორი ქვეყანა შვეიცარიაა. 2000 წელს ამ ქვეყნიდან შემოტანილი დაუფასოებელი მედიკამენტების ჯამურმა რაოდენობამ 6 700 ათასი დოლარი, ხოლო 2014 წელს 2 576, 6 ათასი დოლარი შეადგინა. მეორე ადგილზეა ინდოეთი, საიდანაც იმპორტირებული მედიკამენტების საერთო ღირებულებამ 2000 წელს 28, 9 ათასი დოლარი, ხოლო 2014 წელს 2 387, 5 ათასი დოლარი შეადგინა. შემდეგ მოდის ესპანეთი: 2000 წელი — 1, 8 ათასი დოლარი, ხოლო 2014 წელს — 1 770, 1 ათას დოლარი. ჩინეთი ქართულ ფარმაციაში 2001 წლიდან ჩნდება და შემოტანილი წამლების საერთო ღირებულება 28,5, ხოლო 2014 წელს 1 646 ათასი დოლარი იყო. ამავე პერიოდში გამოჩნდა ქართულ ბაზარზე ამერიკის შეერთებული შტატებისა და უკრაინიდან იმპორტირებული წამლები, ხოლო ლატვია უფრო მოგვიანებით - 2008 წელს. საერთო ჯამში იმპორტირებული დაუფასოებელი მედიკამენტების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. თუკი 2000 წელს ჯამურმა რაოდენობამ 216, 5 ათასი ამერიკული დოლარი შეადგინა, 2014 წელს ეს რიცხვი 13 171 ათას დოლარამდე გაიზარდა.

რაც შეეხება დაფასოებულ მედიკამენტებს, ყველაზე მსხვილი იმპორტიორი თურქეთის რესპუბლიკაა. 2000 წელი იმპორტირებული მედიკამენტების ღირებულებამ 79,5 ათასი დოლარი, ხოლო 2014 წელს — 71 052, 8 შეადგინა. შემდეგ მოდის გერმანია, 2000 წელი — 5 566,6, ხოლო 2014 წელს — 32 036,1 ათასი დოლარი. 2000 წელს უნგრეთიდან 1 878,2 ათასი დოლარის მედიკამენტი, ხოლო 2014 წელს 27 076,8 დოლარის ღირებულების იმპორტი განხორციელდა. საფრანგეთიდან 2000 წელს — 3 589,5, ხოლო 2014 წელს — 21 390,0 ათასი დოლარის, იმავე პერიოდში ავსტრიიდან — 1 308,9, ხოლო 2014 წელს — 13 937,0 ათასი დოლარის. ბულგარეთი 2000 წელი — 918,0 ათასი დოლარი, 2014 — 12 439,9. რუსეთი 2000 წელი — 4 110,8 ათასი დოლარი, ხოლო 2014 წელს — 11 897,8 ათასი დოლარი. შვეიცარიიდან 2000 წელს — 2 181,5 ათასი დოლარის იმპორტი, ხოლო 2014 წელს 11 041,2 ათასი დოლარის. შემდეგ მოდის ნიდერლანდები, სლოვენია, პოლონეთი, ბელგია, ინდოეთი და სხვა ქვეყნები. 2000 წელს დაფასოებული სამკურნალო საშუალებების საერთო ღირებულებამ 45 837 ათასი დოლარი, ხოლო 2014 წელს — 314 635, 2 ათასი დოლარი შეადგინა.

**სალომე გოგოხია**

ალიან-ჩალიანი

# ბორჯომში ახალი სკვერი თვის ბოლოს გაიხსნება

**ბორჯომის ცენტრში სკვერის მოწყობის სამუშაოები სექტემბრის ბოლოს დასრულდება. აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები რუსთაველის ქუჩაზე სანაპირო სკვერის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით. დასრულებულია მიწის სამუშაოები, მოხდა ძველი ფილებისა და სხვა სამშენებლო კონსტრუქციების დემონტაჟი, სკვერის მთელ პერიმეტრზე მოეწყო ახალი ბორდიურები, დაიგო გრანიტისა და ბაზალტის ფილები. მოწესრიგდა სავალი ბილიკები. ამჟამად მიმდინარეობს პერგოლების მონტაჟი და სამღებრო სამუშაოები. მოწესრიგდება ასევე სარწყავი სისტემა.**

**სკვერის რეკონსტრუქციის ფარგლებში დაგეგმილია რუსთაველის მოედნის გაერთიანება სანაპირო სკვერთან, გათვალისწინებულია ეფექტური განათება, გაზონებისა და დასაჯდომი ადგილების მოწყობა. ავტოტრანსპორტის მოძრაობისა და გაჩერების მოსაწესრიგებლად მოეწყობა მრგვალი ფორმის გაზონი ცენტრალურად და მანქანების გასაჩერებელი დამატებითი ადგილი.**



**სამუშოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან 558 064 ლარით ფინანსდება და მას შპს „ანელო“ ასრულებს.**

## ⦿ საით „მივფრინავთ“?!



# მიდიოდა რა ჩვენგან მიხეილ სააკაშვილი...

**საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ, მიდიოდა რა ჩვენგან, მიხეილ სააკაშვილმა დაგვიტოვა... ორსაჭიანი ველოსიპედი რესპუბლიკის მოედანზე, რომელმაც ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია.**

როგორც ამ ბოლო ხანს ირკვევა, მარიონეტი სააკაშვილის ეს დანატოვარი ჩვენი პოლიტიკოსებისა და საზოგადოების „ელიტური ნაწილის“ მიერ ქვეყნის მართვის სიმბოლური გამოხატულებაა. თუ გავიხსენებთ, როგორ მეტყველებდა ბატონი მიხეილი, აუცილებლად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ევრო-ატლანტიკური სტრუქტურებიდან ველოსიპედის ჩამოტანა და აქ დადგმა ბატონ სააკაშვილს დაავალეს იმ ადამიანებმა, რომლებიც ძალიან კარგად იცნობდნენ ჩენს პოლიტიკოსებს და საზოგადოების „ელიტურ ნაწილს“.

ყოფილ რესპუბლიკის მოედანზე მდგარი ველოსიპედით ჩვენი დასავლელი „კეთილისმყოფელები“ ქართველ ხალხს ახსენებენ, რომ ჩვენ, ჩვენივე ხელისუფლების აღიარებით, ვართ განვითარებადი ქვეყანა, ამიტომ წარმოება და მეცნიერება ჩვენთვის დიდი ფუფუნებაა. ისინი გვეუბნებიან, რომ ნუ დაიწყებთ ველოსიპედის გამოგონებას, ის უკვე გამოგონებულია და დგას თქვენს მთავარ მოედანზეო... ორსაჭიანი, შავი, სასაცილოც და სატირალიც. ერთი საჭით — დასავლეთისკენ, ხოლო მეორეთი აღმოსავლეთისკე მიმართული. თქვენ უნდა აირჩიოთ პროდასავლური ორიენტაციის ლიდერი, რომელიც მიუჯდება დასავლეთისკენ მიმართულ საჭეს და ქვეყანას წაიყვანს ევროპის მიმართულებით. ჩვენ გავითვალისწინებთ თქვენს კონსტიტუციურ უფლებას და თუ აირჩევთ პროაღმოსავლეთის მიმართულების ლიდერს, იგი მიუჯდება აღმოსავლეთისკენ მიმართულ საჭეს და ქვეყანას წაიყვანს აღმოსავლეთისკენ. ამ მიმართულებით არის რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაც. თავის დროზე ნოე ჟორდანიამ განაცხადა: „რუსეთმა ჩვენ დახმარება შემოგვთავაზა (თურქეთთან ომის დროს), მაგრამ ჩვენ რუსეთის დახმარება არ მივიღეთ, რადგან ჩვენ მივდივართ დასავლეთისკენ, ხოლო რუსეთი მიდის აღმოსავლეთისკენ“.

ხელისუფლების გაყოფა ორ — დასავლეთსა და აღმოსავლეთის ლიდერს შორის, თეორიულად შესაძლებელია, თუ ისინი სინქრონულად ხან აღმოსავლეთისკენ და ხან დასავლეთისკენ წაიყვანენ ქვეყანას, მაგრამ ვიცით რა ქართველი პოლიტიკოსების გაზვიადებული ამბიციები, ველოსიპედი, უბრალოდ, ვერც ერთი მიმართულებით ვერ წავა.

ასეთი სიმბოლიკა აუცილებელიც კი ყოფილა ჩვენი საზოგადოების „ელიტური ნაწილისთვის“.

მიდიოდა რა ჩვენგან, მარიონეტმა მიხეილ სააკაშვილმა დაგვიტოვა „ლიბერალური“ ეკონომიკა.

მავანი თავს ნუ შეიწუხებს კითხვით, თუ რას ნიშნავს „ლიბერალური“ ეკონომიკა, მაინც ვერავინ უპასუხებს. მავანი თვითონ უნდა მიხვდეს, რომ „ლიბერალური“ ეკონომიკა ეს არის მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის მიერ უცხოელი ინვესტიციების მოზიდვა და მათ სარგებლობაში სახელმწიფო (სახალხო) საკუთრების ობიექტების გადაცემა, სიმბოლურ ფასად მიყიდვა, ყოველგვარი კანონისა და საფუძვლის გარეშე. „ლიბერალური“ ეკონომიკა ეს არის მსოფლიო ბანკებიდან დიდი რაოდენობით სესხების აღება და მხოლოდ არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების აშენება ყოველგვარი პროექტებისა და ტექ-ეკონომიკური დასაბუთების გარეშე. უფრო გასაგები რომ გახდეს, ერთი აბზაცი გავიხსენოთ სტალინის მოხსენებიდან (ტომი 8). „ამბობენ, ჩვენი პურის ექსპორტი ხელსაყრელი არ არის, არარენტაბელურიაო. რატომ არ არის ხელსაყრელი? იმიტომ რომ დამამზადებლები უფრო ბევრს ხარჯავენ პურის დამზადებაში, ვიდრე საჭიროა. ჩვენი მგეგმავების მიერ გამოკვლეულია, რომ ერთი ფუთი პურის დასამზადებლად საკმარისია 8 კაპიკი. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ დახარჯეს 13 კაპიკი. ეს იმნაირად მოხდა, რომ თითოეულ დამოუკიდებელ მუშაკს, დამზადების ხაზით, საჭიროდ მიაჩნია გაბეროს თავისი მუშაკების შტატი. შეიძინოს ავტომობილი და სხვა“...

სტალინი 5 კაპიკს გამოეკიდა. არადა ის 5 კაპიკიც თავის ხალხის დასაქმებას არ მოხმარდა? ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ უკვე 1926 წელს ჩამოყალიბებული იყო „ბოროტების“ იმპერია. და მას შესაბამისი ეკონომიკა ჰქონდა.

შეიძლება იმ ეკონომიკის შედარება სააკაშვილისა და მისი გუნდის კაცთმოძულე, ლიბერალურ ეკონომიკასთან..

მიდიოდა რა ჩვენგან, არამზადა მიხეილ სააკაშვილმა დაგვიტოვა ერთ მუშტად შეკრული ნაციონალების გუნდი. ხალხი ხედავს როგორი თავგანწირვით იბრძვიან, რომ კვლავ ხელისუფლებაში მოვიდნენ. იბრძვიან, რომ მაჟორიტარული წესი გაუქმდეს. ხალხმა ხმა უნდა მისცეს პარტიის ლიდერს, ხოლო პარტიულ სიებში ვინ იქნება ჩაწერილი, ნაცებს რაში აინტერესებთ!

**მიდიოდა რა ჩვენგან, მიხეილ სააკაშვილმა დაგვიტოვა ათასი თავს მოხვეული პოლიტიკურ-ეკონომიკურ-ნაცისტური სისულელე!..**

**ნუგზარ კოზახიძე**


# განცხადება

2015 წლის 17 სექტემბერს 14:00 საათზე, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ნონეშვილის ქ. №13) გაიმართება **გურჯაანი-ბაკურციხის შემოვლითი გზის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის** საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილი სამუშაოების ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ გვერდზე www.georoad.ge და შემდეგ მისამართებზე:

- ქ. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში – ნონეშვილის ქ. №13;
- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შენობაში ქ. თბილისი – ყაზბეგის ქ. №12

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

**რევაზ ენუქიძე** ტელ: 599 16 44 69; E-mail: r.enikidze@gmail.com
**მაია ვაშაკიძე** ტელ: 593 32 30 77; E-mail: maya_vashakidze@yahoo.co.uk
**გია სოფაძე** ტელ: 599 93 92 09 E-mail: gia.sopadze@georoad.ge

# Information about public consultation

Roads Department of Georgia makes this announcement to the attention of stakeholders that public consultation on **Environmental and Social Impact Assessment of Reconstruction of Gurjaani-Bakurtsikhe Bypass Road Kakheti Regional Roads Improvement Project and Third Secondary and Local Roads Project** is planned to be held at the Gurjaani Municipality (Address: Noneshvili str. №13) 17 September, 2015 at 14:00.

Electronic version of the documents is available at the web page of Roads Department: www.georoad.ge the hard copy of above mentioned document will be available at below mentioned addresses:

- Gurjaani Municipality - Noneshvili str. №13;
- Roads Department of Georgia – Tbilisi, Kazbegi str. №12

Please send your comments and remarks below mentioned Contact persons:

Revaz Enukidze Tel: 599 16 44 69; E-mail: r.enikidze@gmail.com
Maya Vashakidze. Tel: 593323077; E-mail: maya_vashakidze@yahoo.co.uk
Gia Sopadze Tel: 599 93 92 09; E-mail: gia.sopadze@georoad.ge


## ⦿ კაკალ გულში

### წეჩცილოთვანი თეხაზები

**● „რუსთავი 2“-ზე ახალი კურიერი დაიწყო, ოღონდ სხვა შუადღე ჰქვია. მოთქმაგოდება მომესმა და ჩავუჯექი. განაწილებული აქვთ საწუწუნო თემები და იხოკავენ ღაწვებს. გვანცა დარასელიამ ლარის კურსზე იტირა, ობოლაძემ — ეჰ, სათვალავი ამერია მედიაზე ზეწოლის ფაქტებისო (აღიარა ფაქტობრივად, ვინ „ეწვა ზედ“ მედიას 9 წელი კი ვიცით და ეტყობა ეგენი გაახსენდა), ფაცაციამ საცობებზე გადმოყარა კურცხალი, სოლოღაშვილმა გზების მოუხერხებლობაზე, ბაია დვალიშვილმა ბავშვის სკოლის 5 წიგნში 74 ლარი გადავიხადეო (არ ვიცი, უფასო წიგნები რატო არ ეკუთვნის, ეტყობა, პოლიტიკური ნიშნით დაიწუნა სანიკიძემ)...მერიკო გუბალაძის დღე რო იქნება იმედია ტყუილ სუფს არ გააკეთებს.**

**● დღეს განსაკუთრებით მოცლილი ვარ და სატელევიზიო დღე მოვიწყვე.**

**სხვადასხვა არხზე ვუყურე და ვუსმინე სხვადასხვა წამყვანების, სხვადასხვა გადაცემებს, სხვადასხვა თემებზე (ბოლოს მამუკა არეშიძეს, „პალიტრა“-ზე) და დავრწმუნდი, რომ გარკვეული სიმშვიდის და წესრიგის დასამყარებლად: საქართველოს აუცილებლად სჭირდება ერთი ლავრენტი პავლეს-ძე, ხოლო მსოფლიოს, - იოსებ ბესარიონის-ძე.**

**ჩემი თუ არ გჯერათ, შტეფან ფულეს და ლინას ლინკიავიჩუსს უსმინეთ და — „ეს გზა რას გვიზამს, იმასაც ნახავთ“.**

**● ახლა პარლამენტარები აკეთებდნენ კომენტარებს რაღაც საკითხზე, — უმრავლესობიდან, უმცირესობიდან, სხვადასხვა კოალიციიდან, პარტიიდან, ფრაქციიდან, კომიტეტიდან, ჯგუფიდან...**

**ერთი არ გამოჩნდა ისეთი, შეგინება რომ დამნანებოდა.**

**● კოჟორიძის მასშტაბის მოღვაწე, აფსუსია, მხოლოდ ერთი ადამიანის უფლებების დაცვაზე რომ ცდება.**

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძემ**


# განცხადება

2015 წლის 29 ოქტომბერს, 13:00 საათზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (მისამართი: ქ. თერჯოლა, რუსთაველის. № 109) ჩატარდება შპს „ბორანის“ კუთვნილი ასფალტის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ასფალტის წარმოება.

საზოგადოების წარმომადგენლებს, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (გზშ ანგარიში) გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე: ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ.37 და ასევე დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიის ნახვა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვებ გვერდზე: **www.moe.gov.ge**

წერილობითი შენიშვნები და კომენტარები შეგიძლიათ მიაწოდოთ შპს ,,ბორანს“, 2015 წლის 23 ოქტომბრის ჩათვლით, მისამართზე: ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ.37. საკონტაქტო პირი: მელანო უკლება, ტელ: 599 10 46 60



# პოზიტიური ცვლილებები სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისთვის

**კვლევითი ინსტიტუტებისა და მეცნიერთა საკეთილდღეოდ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებები შედის. ახლო მომავალში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში, სწავლების პროცესში გაძლიერდება კვლევითი კომპონენტი, რაც მეცნიერების განვითარებისთვის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. საქართველოს მთავრობის მხრიდან ცვლილებები უკვე მიღებულია, რის შემდეგაც საკითხს პარლამენტი განიხილავს.**

კანონპროექტის თანახმად, აღნიშნული ცვლილებებით უნივერსიტეტებში მკვეთრად განისაზღვრება როგორც სამეცნიერო კვლევითი ერთეულების სტატუსი, ასევე ფუნქციები და უფლება-მოვალეობები. სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს სრულფასოვნად შეეძლებათ მონაწილეობის მიღება სასწავლო, სამეცნიერო საქმიანობასა და მართვაში. განისაზღვრება მეცნიერის სტატუსის, მისი უფლებებისა და მოვალეობების, მეცნიერთა ატესტაციის პროცესი. შეიქმნება იმგვარი საკანონმდებლო ჩარჩო, რომ შესაძლებელი გახდება ახალგაზრდა კადრების დასაქმება და მათთვის სამეცნიერო სტატუსის მინიჭება (პოსტდოქტორანტი, მეცნიერი, მკვლევარ-პროფესორი). ექსპერტთა შეფასებით, მსგავსი მიდგომებით, მოხდება ქვეყნის აქამდე გამოუყენებელი სამეცნიერო პოტენციალის ეფექტური გამოყენება სწავლების და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

2010 წელს, სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებთან მიერთებამ, როგორც ცნობილია, მეცნიერთა პროტესტი გამოიწვია. ისინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ, რომ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს სამართლებრივი სტატუსი შეცვლოდათ. მიიჩნევდნენ, რომ ხელისუფლების მხრიდან, მსგავსი მიდგომა მეცნიერებას კარგს არაფერს მოუტანდა, რაც გამართლდა კიდეც, რადგან რეალურად, ამ შეერთებას მექანიკური ხასიათი ჰქონდა, მას არავითარი პოზიტიური შედეგები არ მოუტანია. კერძოდ, არ არსებობდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და სამართლებრივი მექანიზმები იმისათვის, რომ მომხდარიყო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ჩართვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობაში. სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და მათი პერსონალი— მცირე გამონაკლისის გარდა, შესაბამისი იურიდიული სტატუსის, ფუნქციებისა და უფლებების გარეშე დარჩა.

აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს შემოაქვს სხვადასხვა კატეგორიის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების ცნება. უმაღლესი სასწავლებლების ფარგლებში, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების არსებობა განისაზღვრება როგორც უნივერსიტეტის ან ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეული.

კანონმდებლობით განისაზღვრება ასევე სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების ფუნქცია და მმართველი ორგანოები (დირექტორი, სამეცნიერო საბჭო), რომელთა საქმიანობის წესი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ავტონომიურობის ფარგლებში და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების ინტერესების გათვალისწინებით, დარეგულირდება უსდ-ს წესდებით, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულისა და სსიპ-ი სსიპ-თან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების დებულებით.

**2010 წლიდან დღემდე, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები (მცირე გამონაკლისის გარდა) უმაღლესი სასწავლებლების მართვის ორგანოებში არ მონაწილეობენ. საკუთარი უფლებების დასაცავად და ინტერესების გასატარებლად, იურიდიული ბერკეტები არ გააჩნიათ.**

პრობლემის მოსაგვარებლად, კანონმდებლობით, უმაღლესი სასწავლებლის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის და ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მონაწილეობა აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებში სავალდებულო გახდება.

არანაკლებ საყურადღებოა, რომ საკანონმდებლო ბაზის არარსებობის გამო, კვლევითი დაწესებულებების უმაღლეს სასწავლებლებში ინტეგრაციის მიუხედავად, ვერ მოხდა მათი რეალური ჩართვა საგანმანათლებლო პროცესებში და მათი ინტელექტუალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება, რაც სწავლებისა და კვლევის ხარისხის გააუმჯობესებდა. პრობლემის მოგვარების მიზნით, სამეცნიერო-კვლევით ერთეულს, მიენიჭება უფლება მონაწილეობა მიიღოს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების როგორც კვლევითი, ისე სასწავლო კომპონენტების განხორციელებაში.

კანონმდებლობით მკვიდრდება ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის ცნება, რომლის განხორციელება შეუძლია უმაღლეს სასწავლებელს არა მხოლოდ სხვა უმაღლეს სასწავლებელთან, არამედ სხვადასხვა კატეგორიის სამეცნიერო-კვლევით ერთეულთან თანამშრომლობით.

აღსანიშნავია ისიც, რომ უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების შეერთებით, საკანონმდებლო დონეზე არ განისაზღვრა სამეცნიერო პერსონალის სტატუსი, ფუნქციები და უფლება-მოვალეობები. შედეგად, მეცნიერთა ნაწილი თავს დაუცველად გრძნობს. საგანმანათლებლო პროცესებში სამეცნიერო პერსონალის მონაწილეობა, თვით კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესშიც კი, ძალიან შეზღუდულია, რის გამოც მომავალი სამეცნიერო კადრების მომზადების პროცესში ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის ეფექტური გამოყენება არ ხდება.

პრობლემის გადაჭრის მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობების ჩამონათვალს ემატება სამეცნიერო თანამდებობები. განისაზღვრება აგრეთვე მეცნიერთა ატესტაციისა და სამეცნიერო თანამდებობების დაკავების წესი, მეცნიერთა შრომითი ურთიერთობები.

გარდა ამისა, იქმნება საკანონმდებლო საფუძვლები იმისთვის, რომ დამოუკიდებლად არსებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და მათი სამეცნიერო პერსონალი უმაღლესი სასწავლებლის ბაზაზე განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში ჩაერთოს. ამავე მიზნით, ფართოვდება სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების საქმიანობის სფერო და ემატება საგანმანათლებლო საქმიანობაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით.

უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო კომპონენტის გაძლიერების კვალობაზე, იზრდება უმაღლესი სასწავლებლის პერსონალის და მთლიანად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების მნიშვნელობა.

გამომდინარე იქიდან რომ კანონმდებლობით იქმნება მექანიზმი, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა კვლევით ერთეულებთან თანამშრომლობით მოამზადონ და განახორციელონ სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები, საჭირო ხდება, რომ სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალური და ადამიანური რესურსები აისახოს საავტორიზაციოდ თუ საკრედიტაციოდ წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშში.

როგორც ცნობილია, უმაღლესი სასწავლებლის ბაზაზე როგორც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, ისე სხვადასხვა საერთაშორისო დონორების დაფინანსებით არაერთი ეროვნული თუ საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი პროექტი ხორციელდება. პროექტების განხორციელებაში მონაწილეობენ როგორც აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, ასევე დროებით ხელშეკრულებით მოწვეული პირები, რომლებსაც შესაბამისი სტატუსი არ გააჩნიათ. გარდა ამისა, შეზღუდულია ახალგაზრდა მკვლევარების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვის და მათთვის გარკვეული სტატუსის მინიჭების მექანიზმები, რაც უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდა კადრების მოსაზიდად დამატებითი სტიმული იქნებოდა.

კანონმდებლობით, ასევე არ არის განსაზღვრული მექანიზმი, რომელიც აკადემიური პერსონალის გამორჩეულ წარმომადგენლებს, განსაკუთრებული მეცნიერული მიღწევებისთვის ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებელში უვადო ხელშეკრულებით დასაქმების საშუალებას მისცემდა და ამგვარად დამატებით, სტიმულსა და მოტივაციას გაუჩენდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სამეცნიერო კვლევების განსახორციელებლად.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2010 წელს, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების უმაღლესებთან მიერთების შემდეგ, 2015 წელს დაფინანსების ახალი სისტემის ამოქმედების მიუხედავად, არ მომხდარა სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასება-ატესტაცია, რათა მომხდარიყო სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების პოტენციალის რეალური შეფასება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად. აღნიშნულის საფუძველზეც შემუშავდებოდა განვითარების სტრატეგია, საჭიროების შემთხვევაში მოხდებოდა ახალი (მათ შორის ახალგაზრდა) კადრების მოზიდვა და დაფინანსების სამართლიანი და ხარისხზე ორიენტირებული სისტემის ფორმირება.

**სწორედ აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად, აგრეთვე უსდ-ების საგანმანათლებლო პროცესებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრება ტერმინები: პოსტდოქტორანტი, მკვლევარ-მეცნიერი, მუდმივი პროფესორი. გარდა ამისა, მკვიდრდება სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის პროცედურაც.**

**ნინო ჩხენკელი**

◎ ალიან-ჩალიანი

## წყალტუბოში სარეაბილიტაციო სამუშაოები სრულდება

**მუნიციპალური** განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ჯუანშერ ბურჭულაძე, მსოფლიო ბანკის მდგრადი განვითარების პროგრამების კოორდინატორი სამხრეთ კავკასიაში აჰმედ აივეიდა და წყალტუბოს გამგებელი კონსტანტინე მამისეიშვილი ქალაქ წყალტუბოს რეაბილიტაციის პროექტის დასკვნითი სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნენ. ფონდი წყალტუბოში სულ 9 ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებს, საიდანაც 7 უკვე დასრულებულია.

ქალაქის რეაბილიტაციის ფარგლებში ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე მოეწყო აქტიური დასვენებისთვის განკუთვნილი გარემო; „ცივი ტბის“ ტერიტორიაზე აშენდა მცირე ზომის ტურისტული შენობა-ნაგებობები, მოწესრიგდა წყალტუბოს ცენტრალური ნაწილის კანალიზაციის სისტემა. დასრულდა თეატრის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ქალაქში მოეწყო გარე განათება, ველობილიკები და ავტოსადგომები.

წყალტუბოს საკურორტო ზონის რეაბილიტაციის შედეგად, ტურიზმისა და მცირე ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნება, რაც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. რეაბილიტაციის პროექტი ბალნეოლოგიური კურორტის მუშაობისთვის სასურველ გარემოს შექმნის და წყალტუბოს დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი საკურორტო ქალაქის სტატუსს დაუბრუნებს. პროექტი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 40.68 მლნ. ლარია.

## „დელტამ“ სეტყვას შეუტია

**7 სექტემბრის** 17:20 საათზე კახეთის რეგიონში, თელავის რაიონის თავზე, სეტყვასაშიში ღრუბლის მასა გამოჩნდა. სეტყვის ალბათობა 80% იყო, მოსალოდნელი სეტყვის მარცვლების ზომა კი 0 30 მმ. მომდევნო 15 წუთის განმავლობაში ღრუბლის ფართობი კიდევ უფრო გაიზარდა, მოსალოდნელი სეტყვის მარცვლების ზომა კი — 40 მმ-მდე ავიდა. პროცესის გასანეიტრალებლად სეტყვასაწინააღმდეგო სისტემის მართვის ცენტრის მიერ 17:40, 17:48 და 17:55 საათებზე განხორციელდა ღრუბლის სარაკეტო დამუშავება. აქტიური ზემოქმედების შედეგად სეტყვასაშიში ღრუბლების სრული ნაწილი ადგილზე წვიმის და უწვრილესი უვნებელი სეტყვის მარცვლების სახით ჩამოიცალა, — ნათქვამია „დელტას“ მართვის ცენტრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## დარიალის ხეობაში გარკვეული შეზღუდვები დაწესდება

**მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის** საავტომობილო გზის კმ134-კმ135 (დარიალის ხეობა) მონაკვეთზე, 8 სექტემბრიდან 15 სექტემბრის ჩათვლით გარკვეული შეზღუდვები დაწესდება.

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის კმ134-კმ135 (დარიალის ხეობა) მონაკვეთზე, 2015 წლის 8 სექტემბრიდან 15 სექტემბრის ჩათვლით ავტოტრანსპორტის გაუჩერებლად გავლის რეჟიმში მოძრაობა განხორციელდება შემდეგი პირობების დაცვით: ღამის 00:00 საათიდან დილის 05:30 საათამდე აკრძალულია ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა; მსუბუქი ავტოტრანსპორტის გადაადგილება აკრძალულია საღამოს 20:30 სთ-დან დილის 05:30 სთ-მდე; მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია ღამის 00:00 საათიდან დილის 05:30 საათამდე, (ინტენსიური ნალექების შემთხვევაში მოძრაობა აკრძალულია საღამოს 20:30 საათიდან დილის 05:30 საათამდე.) საღამოს 20:30 საათიდან ღამის 00:00 სთ-მდე მოძრაობისას აკრძალულია ერთდროულად ორივე მხრიდან შემხვედრი მიმართულებით ერთზე მეტი (მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტი და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსები) ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაადგილება; დროის დანარჩენ პერიოდში ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ინტერპრესი

# ცალმხრივი სიმართლე

## რატომ უბიძგებენ რუსეთს, მოინანიოს საბჭოთა დიპლომატიის 1939 წლის აგვისტოს ოსტატური სვლის გამო

**როდესაც 1987 წელს ლატვიის სს რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირების პლენუმზე ადგილობრივი „აღორძინების“ ერთ-ერთმა მოღვაწემ მავრიკ ვულფსონმა „გახსნა სიმართლე“ თავდაუსხმელობის შესახებ საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939 წლის 29 აგვისტოს შეთანხმების საიდუმლო დანართის შესახებ, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ბორის პუგომ უპასუხა: „ეს-ესაა შენ საბჭოთა ლატვია მოკალი“.**

ალბათ, „მოკლა“, მაგრამ არა იმიტომ, რომ „გახსნა სიმართლე“, არამედ იმიტომ, რომ გახსნა მთელი სიმართლე. მითითებას — არ გავხსნათ „მთელი სიმართლე“, დავმალოთ იგი საეჭვო ფაქტების, ციფრების, ციტატებისა და ა. შ. ნაკადების მიღმა ან საერთოდ დავამახინჯოთ იგი — ყოველივე ამას აქტიურად იყენებს დასავლეთი რუსეთის დასანგრევად, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გადასაფორმებლად, უკრაინაში, მოლდოვაში, საქართველოში, სხვა ქვეყნებში რუსოფობული განწყობილების პროვოცირებისათვის.

მაშ ამაზე არაფერი უთქვამს მავრიკ ვულფსონს, როდესაც ახსენებდა „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის“ შესახებ? უწინარეს ყოვლისა, იმის შესახებ, რომ საიდუმლო შეთანხმებათა მიღწევის პრაქტიკა საერთაშორისო დოკუმენტების ხელმოწერასთან დაკავშირებით ცნობილია 1939 წლის აგვისტომდე დიდი ხნით ადრე. ნუ ვისაუბრებთ შორეულ საქმეებზე, მაგრამ თავისთავად ვერსალის სისტემა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა და დაიწყო ნგრევა XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში, გახდა გამარჯვებული ქვეყნების საიდუმლო შეთანხმებათა შედეგი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ინტერესების სფეროების საზღვრები, ერთი მხრივ, და სსრ კავშირისა — მეორე მხრივ, ასევე განისაზღვრებოდა, როგორც ცნობილია, საკმაოდ არასაჯაროდ.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939 წლის შეთანხმებათა თანამედროვე კრიტიკოსებს „ავიწყდებათ“ ისიც, რომ ასევე არალეგალურად წყდებოდა 1989-1991 წლებში საკითხი ევროპაში გავლენათა სფეროების გადანაწილების შესახებ, იუგოსლავიის რუკის ხელახლა გამოჭრის შესახებ, ნატოს და ევროკავშირის აღმოსავლეთისკენ გადაადგილების შესახებ, ამ ცოტა ხნისწინანდელი სიუჟეტების შესახებ. როდესაც დასავლეთიდან ვისმენთ კრიტიკას სსრ კავშირის მოქმედებათა შესახებ 1939 წლის აგვისტო-სექტემბერში, უნდა ვიცოდეთ: საქმე ეხება არა ამა თუ იმ შეთანხმებათა ხარისხს ან ფორმას, არამედ იმას, აკონტროლებდნენ თუ არა მათ ანგლოსაქსები.

სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის ბრალმდებლები ფრჩხილებს მიღმა ტოვებენ იმასაც, რომ დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა დადეს შეთანხმება გერმანიასთან თავდაუსხმელობის შესახებ ჯერ კიდევ 1938 წელს და უბიძგებედნენ ჰიტლერს სსრ კავშირის მიწების ანგარიშზე მისი სივრცობრივი მადის დაკმაყოფილებისაკენ. 1938 წლის სექტემბერში ისინი წავიდნენ ჰიტლერთან და მუსოლინისთან ეგრეთ წოდებულ „მიუნხენის გარიგებაზე“ — შეთანხმებაზე გერმანიისთვის ჩეხოსლოვაკიის სუდეტის ოლქის გადაცემის შესახებ. თანაც მათ აიძულეს პრაღა, უარი ეთქვა წინააღმდეგობის გაწევაზე იმ მომენტში, როდესაც იგი იყო არა მხოლოდ რეალური, არამედ დიდი ალბათობით მიიყვანდა კიდეც ჰიტლერის დამხობასთან. გერმანიის გენერალიტეტისა და არმიის უფროსი ოფიცრებისა და სამხედრო დაზვერვის ნაწილი (მათ შორის ლუდვიგ ბეკი და ფრანც გალდერი) მზად იყვნენ, მოეწყოთ სამხედრო გადატრიალება და ამის შესახებ ინფორმაციას აწვდიდნენ ინგლისელებს.

1939 წლის 14 მარტს მიუნხენის შეთანხმების დარღვევით და ლონდონისა და პარიზის მდუმარე თანხმობით გერმანიამ შეიყვანა ჯარები ჩეხეთის ბოჰემიასა და მორავიაში, სლოვაკიის ტერიტორიაზე კი შეიქმნა მარიონეტული ფაშისტური სახელმწიფო. ჯერ კიდევ 1938 წლის სექტემბერში ჩეხოსლოვაკიის ტეშინის ოლქი ჰიტლერთან შეთანხმებით ოკუპირებული იყო პოლონეთის მიერ, ხოლო პოდკარპატსკაია 1938 წლის 15 მარტს — უნგრეთის მიერ. 1939 წლის აპრილის დასაწყისში ჰიტლერმა გასცა ბრძანება გეგმა „ვაისის“ ამოქმედების შესახებ, ესე იგი პოლონეთზე თავდასხმის შესახებ, არაუგვიანეს იმავე წლის 1 სექტემბრამდე.

ფაქტობრივად დაწყებული ომის პირობებში მოქმედი საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად უჭერდა მხარს ჩეხოსლოვაკიას მის დაპირისპირებაში გერმანიის, პოლონეთისა და ინგლის-საფრანგეთის დიქტატთან. მოსკოვი მზად იყო გაეწია დახმარება პრაღისათვის კოლექტიურიც და ცალმხრივიც, მოითხოვდა საკითხის დასმას ერთა ლიგაში გერმანიის აგრესიის შესახებ ჩეხოსლოვაკიასთან დაკავშირებით. პოლონეთი გაფრთხილებული იყო, რომ მისი ნებისმიერი მცდელობა — მოეხდინა ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია — მიგვიყვანდა მოსკოვსა და ვარშავას შორის თავდაუსხმელობის შესახებ ორმხრივი შეთანხმების მოქმედების შეწყვეტასთან. ინგლისელებმა და ფრანგებმა წინააღმდეგობა გაუწიეს საბჭოთა ინიციატივებს და განზრახ ამუხრუჭებდნენ მოლაპარაკებას პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის შესახებ ბერლინის პოლიტიკის საპირისპიროდ.

1939 წლის მარტში მზადყოფნა ბერლინთან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობისთვის თავდაუსხმელობის შეთანხმების სახით გააფორმა ლიტვამ, ივნისის დასაწყისში კი — ლატვიამ და ესტონეთმა. ამ შეთანხმებებს ბერლინი განიხილავდა, როგორც ინსტრუმენტს, რომელიც ართულებდა სსრ კავშირის ჩარევას პოლონეთში გერმანიის მომავალ შეჭრასთან დაკავშირებით. თავად პოლონეთმა კი განაცხადა უარი გაეტარებინა წითელი არმია თავის ტერიტორიაზე ჰიტლერის წინააღმდეგ შესაძლო სამოკავშირო მოქმედებისათვის. ამ თვეებში მესამე რაიხმა შესამჩნევად გააძლიერა არა მხოლოდ თავისი სამხედრო მრეწველობა მეტად განვითარებული ჩეხეთის ხარჯზე, არამედ, არ-



1939 წლის აგვისტოში ხელი მოეწერა „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს“, 28 სექტემბერს კი მათვე (იშვიათ ფოტოზე) ხელი მოაწერეს შეთანხმებას „მეგობრობისა და საზღვრის შესახებ“. ჰიტლერი მას განიხილავდა, როგორც შირმას ომისათვის საიდუმლო მზადებისათვის.

სებითად, მიიღო რუმინეთის ნავთობის შეუზღუდავი გამოყენების საშუალება.

რა უნდა გაეკეთებინა ასეთ ვითარებაში სსრ კავშირის ხელმძღვანელობას? მას ერთდროულად არა მარტო უკან უნდა დაეწია გერმანიის აგრესია, რის გარდაუვალობაშიც კრემლს ეჭვიც არ ეპარებოდა, არამედ მისთვის სათანადოდ მომზადებულიყო, აგრეთვე უზრუნველეყო ლონდონის, პარიზისა და ვაშინგტონის დიდი დაინტერესება კოალიციური მოქმედებებით ჰიტლერისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ.

სსრ კავშირის ხელმძღვანელებმა მაშინ გააკეთეს არჩევანი. და ეს არჩევანი იყო სწორი, თუმცა ყველამ, ვინც სიმპათიით იყო სსრ კავშირის მემარცხენე წრეებისადმი მთელ მსოფლიოში და თვით სსრ კავშირშიც, როდი შეიგნო ეს. თავისი არჩევანი გააკეთა ჰიტლერმაც. მას გაუჩნდა იმედი, რომ მისი პოლიტიკური „შემობრუნება“ სსრ კავშირისკენ დაეხმარებოდა მას უფრო სწრაფად მიეღწია ურთიერთობისათვის ინგლისთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან, აეძულებინა ისინი, დასთანხმებოდნენ მის მისწრაფებებს. მაგრამ გერმანიისათვის ყველაფერი გამოვიდა სწორედ საპირისპიროდ.

სსრ კავშირ-გერმანიის 1939 წლის ხელშეკრულებათა ერთ-ერთი შედეგი გახდა ლიტვის ტერიტორიის ზრდა ვილნიუსის, ვილნიუსის მხარისა და კლაიპედის ხარჯზე. 1940 წელს შექმნილ მოლდოვეთის სსრ რესპუბლიკაში შევიდა არა მხოლოდ ბესარაბია, არამედ ამჟამინდელი დნეპრისპირეთის მიწებიც. თანემედროვე მსოფლიოში, რასაკვირველია, შეიძლება გააკეთო ყველაფერი, მათ შორის მოითხოვო რომელიმე დოკუმენტის „შედეგების ლიკვიდაცია“ და ამავდროულად დაჟინებით მოითხოვდე საკუთარი სუვერენიტეტის პატივისცემას სწორედ ამ შედეგების საზღვრებში, მაგრამ ნორმალურმა ადამიანებმა ხომ კარგად იციან, რაზეა საუბარი...

მოდით, შევაჯამოთ. 1939 წლის აგვისტოს სვლით იოსებ სტალინმა საშუალება არ მისცა ინგლისელებსა და ამერიკელებს წარემართათ მსოფილო ისტორია საკუთარი კალაპოტით. მან შეძლო იმ ძალიდან, რომელიც იყო ჰიტლერის მომხრე და რჩებოდა სსრ კავშირის პოტენციურ მოწინააღმდეგედ, გადაექცია ისინი გერმანიის მოწინააღმდეგედ. ესე იგი ისინი უნებლიეთ ჩვენი მოკავშირეები გახდნენ. თუმცა, ისეთებიც, რომლებსაც ეძინათ და ხედავდნენ სსრ კავშირის სრულ დაუძლურებას ომის დროს და ბევრ რამესაც აკეთებდნენ ამისთვის, მოგვიანებით მათ არ მისცეს საშუალება, განეხორციელებინათ სეპარატისტული გარიგებანი ჰიტლერის გარემოცვასთან 1944-1945 წლებში. და მაინც მათთან თანამეგობრობით საბჭოთა კავშირმა შეძლო, დაემარცხებინა ჰიტლერი და უზრუნველეყო თავისი საზღვრების უსაფრთხოება, შეექმნა საერთაშორისო უშიშროების მოქმედი სისტემა გაეროს სახით. ქვეყნისთვის მშვიდობა გარანტირებული იყო მრავალი ათეული წლობით.

პირდაპირ ვიტყვით, თავად ამ თარიღში — 1939 წლის 23 აგვისტოში, მის პატიოსან ისტორიულ ანალიზში და მის თანმხლებ პოლიტიკურ სპეკულაციებში (რაშიც არის რუსეთის ცალკეული პოლიტიკოსებისა და ისტორიკოსების წვლილი) არის მნიშვნელოვანი გაკვეთილი ჩვენი სახელმწიფოსთვის და რუსეთის საზოგადოებისთვის. იგი შეეხება ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური იმუნიტეტის დაკარგვის დამანგრეველ გეოპოლიტიკურ შედეგებს ეროვნული ისტორიის შეფასების დროს.

1939 წლის 23 აგვისტოს თარიღისადმი „პერესტროიკის“ დროს დამკვიდრებული მიდგომისადმი ალექსანდრე ზინოვიევის გამოთქმის პერეფრაზირებას თუ მოვახდენთ, შეიძლება ითქვას: უმიზნებდნენ სტალინს, მოხვედრით კი მოახვედრეს საბჭოთა დიპლომატიის ერთ-ერთ გამოჩენილ ოსტატურ სვლას. დაზარალდა ისტორიული სიმართლე, რომელიც 1980-იანი წლების ბოლომდე შეადგენდა სტაბილურობის ერთ-ერთ საფუძველს რუსეთის ისტორიის სივრცეში. ახლა კი, როცა თავს ვიმშვიდებთ ცარიელი სიამაყით, რომ „გამოვძებნეთ სითამამე“, დავხმარებოდით ანგლოსაქსებს, გაეწკეპლათ თავიანთი თავი, მზრუნველები ისტორიაზე ეგრეთ წოდებული პატიოსანი შეხედულებისათვის, და ჩვენც მათთან ერთად, ვიმკით არც თუ ძალიან ტკბილ ნაყოფს. დასავლელი „პარტნიორები“ დაბეჯითებით არწმუნებენ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს და, რაც მთავარია, ჩვენს მოქალაქეებს, რომ 1930-1940-იანი წლების სსრ კავშირის პოლიტიკური წყობილება თითქოს იყო ანალოგიური ნაცისტური გერმანიისა, რომ სსრ კავშირს აკისრია პასუხისმგებლობა მეორე მსოფლიო ომის დაწყებაზე, რომ ჩვენ უნდა მოვინანიოთ მთელი მსოფლიოს წინაშე „სტალინიზმის მსხვერპლთა“ გამო. თუ ამას დავეთანხმებით, როგორც ეს ოდესღაც „ისტორიკოსმა“ — გორბაჩოველებმა გააკეთეს, გამოვა, რომ თანხმობა მივცეთ ჩვენი ქვეყნის შემდგომ ნგრევას.

**მიხაილ დემურინი,**
**პუბლიცისტი, II კლასის საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი**

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

## ◉ ალიან-ჩალიანი

### საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოადგილედ სერგი გვარჯალაძე დაინიშნა

**ამ დრომდე აღნიშნულ თანამდებობას გიორგი ჩართოლანი იკავებდა. გიორგი ჩართოლანი საზოგადოებრივი მაუწყებლის გაერთიანებული არქივის ხელმძღვანელად გააგრძელებს მუშაობას. გარდა ამისა, საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარეობს მთელი რიგი ცვლილებები სხვადასხვა მიმართულებით — საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 2014-2015 წლებში ჩაატარა რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევები, რაც ითვალისწინებდა საზოგადოებრივი მაუწყებლისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების გამოსახვას, ასევე ზოგადად მედიაგარემოს შესახებ. კვლევის საექსპერტო ნაწილის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ორგანიზაცია არ სარგებლობს მაღალი ნდობით და აქვს დაბალი რეიტინგი. იმავეს ადასტურებს ე.წ. „ფიფლმეტრების“ საშუალებით მიღებული ყოველდღიური მონაცემები.**

**სწორედ ამ მონაცემებზე დაყრდნობით დაიგეგმა და ეტაპობრივად ხორციელდება რეფორმა რამდენიმე მიმართულებით: შეიქმნა ორგანიზაციის გრძელვადიანი სტრატეგია; მიმდინარეობს სტრუქტურის ძირეული ცვლილება; განახლებულია ყველა სამაუწყებლო პლატფორმის საეთერო ბადე; დაიწყო გაერთიანებული საინფორმაციო სამსახურის პროექტის იმპლემენტაცია; რეფორმის განხორციელების მიზნით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა ყველა მიმართულებით.**



**თემთა პალატამ მოიწონა რეფერენდუმის ჩატარება ბრიტანეთის ევროკავშირიდან გამოსვლის შესახებ**

მაისში ქვეყანაში საყოველთაო საპარლამენტო არჩევნების მოწყობის შემდეგ პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი დაჰპირდა თანამემამულეებს, გადასინჯოს ევროკავშირში ქვეყნის წევრობა, თუ ბრიუსელი უარს იტყვის საემიგრაციო კანონმდებლობის რეფორმირებაზე და დიდი ბრიტანეთისათვის იმ შესაძლებლობათა მინიჭებაზე — შემოიღოს ზომები მიგრანტების შემოსვლის შეზღუდვისათვის.

* * *

**ტაჯიკეთის თავდაცვის მინისტრის ყოფილ მოადგილეს ბრალი დასდეს ღალატსა და ტერორიზმში**

სახელმწიფო პროკურატურაში შეაგროვეს მეამბოხე გენერლის ბრალეულობათა დამადასტურებელი რამდენიმე ტომი, ასევე ანალოგიური მუხლებით საქმე აღძრულია თავდაცვის სამინისტროს პოლკოვნიკის ჯუნაიდულო უმაროვის მიმართაც. ხელისუფლებამ დაიწყო გენერალ-მაიორის ქონების აღწერა, ჟურნალისტებმა განაცხადეს, რომ იგი სამ ოჯახში ცხოვრობდა.

* * *

**სირიაში უპილოტო თვითმფრინავის დარტყმებით ლიკვიდირებული არიან „ისლამური სახელმწიფოს“ მოთარეშენი**



ბრიტანული დრონის დაბომბვის მიზანი 21 აგვისტოს იყო 21 წლის ბრიტანელი მოქალაქე რიად ჰანი. მასთან ერთად დაიღუპა „ისლამური სახელმწიფოს“ კიდევ ერთი ექსტრემისტი რუხულ ამინი აბერდინიდან. მესამე ბრიტანელი „ისლამური სახელმწიფოს“ წევრი ჯუნაიდ ჰუსეინი ბირმინჰემიდან გაანადგურა ამერიკელმა უპილოტო თვითმფრინავმა 24 აგვისტოს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, ჰანი და ჰუსეინი ამზადებდნენ დედოფლის მკვლელობას.

* * *

**ამერიკის შეერთებულ შტატებში მუსლიმანი სტიუარდესა გაათავისუფლეს სამუშაოდან უარის თქმის გამო — მიაწოდოს ალკოჰოლი**

40 წლის ჩარი სტენლიმ ბრალი დასდო ავიკომპანიას დისკრიმინაციაში რელიგიური ნიშნით — მას აუკრძალეს გაყიდვა და ალკოჰოლის მიწოდება. ადრე კომპანიაში საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ, თუ მას არ სურს ამის გაკეთება, მაშინ მგზავრებს მოემსახურება სხვა სტიუარდესა.

* * *

**მსახიობმა-კომიკოსმა გვატემალაში პრეზიდენტის არჩევნების პირველი ტური მოიგო**

ბიულეტენების 98 პროცენტის დაანგარიშების შედეგად ყოფილმა მსახიობმა და რეჟისორმა ჯიმი მორალესმა, რომელსაც არასოდეს ჰკავებია სახელმწიფო თანამდებობა, ხმების თითქმის 24 პროცენტი მოაგროვა. მისი მეტოქე მეორე ტურში გახდება ან ქვეყნის პირველი ლედი სანდრა ტორესი, ან ბიზნესმენი — მემარჯვენე ცენტრისტი მანუელ ბალდისონი.



**◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# პენტაგონს საქართველო თავის დაცვის ქვეშ აჰყავს

**საქართველოს და ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივი სამხედრო სწავლების საკვანძო ამოცანა 2016 წელს არის — შეამოწმონ, რამდენად სწრაფად შეუძლია ამერიკის არმიას მივიდეს თბილისის დასახმარებლად აუცილებლობის შემთხვევაში. ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების არმიის სარდალმა ევროპაში ბენ ხოჯესმა განაცხადა.** გენერლის გულღია გამონათქვამმა განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია საქართველოს თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელისა, რომელიც ცნობილია თავისი შეურიგებელი პოზიციით მოსკოვთან დაკავშირებით. ქართველი ექსპერტები კი განმარტავენ: უკრაინის კრიზისმა დაარწმუნა ამერიკელები იმის აუცილებლობაში, რომ საჭიროა საქართველოსთან და იმ სხვა ქვეყნებთან აქტიური ურთიერთობა, რომლებიც, როგორც ვაშინგტონში მიაჩნიათ, შეიძლება გადაეყაროს რუსეთის საფრთხეს“.

**აშშ-ის არმიის სარდალი ევროპაში „საგარეო აგრესიის“ შემთხვევაში თბილისს მხარდაჭერას დაჰპირდა**

**„მომავალი ამერიკა-საქართველოს სამხედრო სწავლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა — შევამოწმოთ, რამდენად სწრაფად შეუძლიათ ამერიკის სამხედრო ტექნიკასა და მებრძოლებს, ჩავიდნენ საქართველოს მიწაზე“,** — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების არმიის სარდალმა ევროპაში ბენ ხოჯესმა კონფერენციაზე „ევროპის ახალი გეოპოლიტიკური ლანდშაფტი. უშიშროება, ეკონომიკური შესაძლებლობანი, თავისუფლება და ადამიანური ღირსებანი ფრონტისპირა ქვეყნებში“. ორდღიანმა ღონისძიებამ მუშაობა დაიწყო საქართველოს დედაქალაქში საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერის, პარლამენტის თავმჯდომარისა და თავდაცვის მინისტრის მონაწილეობით.

მას შემდეგ, რაც ამერიკელი გენერლის ხმაურიანი განცხადება გაისმა პლენარულ სხდომაზე, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა ჟურნალისტებთან აღიარა, რომ სასიამოვნოდ გაუკვირდა ბენ ხოჯესის გულახდილობა. **„არ ველოდებოდი, რომ იგი საჯაროდ იტყოდა იმას, რასაც ამბობდა ჩემთან საუბარში დღეს დილით“,** — განაცხადა მინისტრმა და გამოთქვა ზოგიერთი საინტერესო აზრი, რომელიც თქვა გენერალმა ხოჯესმა მათი შეხვედრის დროს დახურულ კარს მიღმა.

„ამერიკელები უკვე ამოწმებენ ასეთ შესაძლებლობას არა თეორიულად, ქაღალდზე, არამედ პრაქტიკაში. თანაც არ მიმაჩნია საჭიროდ, დავმალო მანევრების რეალური აზრი“, — აღნიშნა სამხედრო-ანალიტიკურ ჟურნალ „არსენალის“ მთავარმა რედაქტორმა ირაკლი ალადაშვილმა. ამის შესახებ განაცხადა აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, რომელმაც კონფერენციის გახსნის დღეს თქვა: **„რუსი პოლიტიკოსები არ გამორიცხავენ სამხედრო გადაწყვეტილებებს მეზობლებთან დამოკიდებულებაში“.**

მოსკოვში ამგვარ განცხადებებს არაერთგზის უარყოფდნენ, თანაც ყურადღებას ამახვილებდნენ თბილისსა და დასავლეთს შორის სამხედრო თანამშრომლობის უკანასკნელი გაძლიერების ნეგატიურ მომენტებზე. მაგალითად, აგვისტოს ბოლოს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ გააკრიტიკა საქართველოს ტერიტორიაზე საქართველო-ნატოს სასწავლო ცენტრის გახსნა, ასეთ ნაბიჯს უწოდა „ალიანსის პროვოკაციული პოლიტიკის გაგრძელება“.

Коммерсантъ

# კონფერენცია უსიამოვნო „სიურპრიზებით“

**„ევროპის ახალი გეოპოლიტიკური ლანდშაფტი“ — საერთაშორისო კონფერენცია ასეთი სახელწოდებით გაიხსნა საქართველოს დედაქალაქში. იგი მოაწყო ამერიკის სამთავრობო ორგანიზაციამ „მაკკეინის ლიდერობის საერთაშორისო ინსტიტუტი“.** ორდღიანი ღონისძიების მონაწილეები თბილისში განიხილავდნენ „თავისუფალი, ერთიანი და მშვიდობიანი ევროპის“ იდეას, აგრეთვე გამოწვევებს, რომლებსაც აქვთ ურთიერთობა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან. მაგრამ დისკუსიის პირველსავე დღეს ღონისძიების ძირითადი თემა გადავიდა მეორე პლანზე: უცხოელი სტუმრების მხრიდან მოულოდნელად გაისმა კრიტიკა საქართველოს ხელმძღვანელობის მისამართით.

საქართველოს ხელმძღვანელობის წარმომადგენლებს, მათ შორის იყვნენ პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ელოდათ კონფერენციაზე უსიამოვნო სიურპრიზი. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ტრიბუნიდან საუბრობდნენ ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების აუცილებლობისა და იმის შესახებ, რომ ოფიციალური თბილისის პროდასავლურ კურსს ალტერნატივა არ გააჩნია, ევროპის ყოფილმა კომისარმა გაფართოებისა და კეთილმეზობლობის პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფიულემ მოულოდნელად გაიხსენა არაფორმალური გამგეობა და პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეები საქართველოში. ფიულეს სიტყვებით, რამდენიმე წლის წინათ ამასთან დაკავშირებით მან „სამი შესაბამისი შეკითხვა“ მისცა საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ ამ შეკითხვებზე პასუხი მას არ მიუღია. ეს შეკითხვები ფიულეს აღარ გაუმეორებია. თუმცა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყოფილი თანამდებობის პირთა დაპატიმრება უნდა მოხდეს „ევროპული სტანდარტების შესაბამისად“. ყოფილ ევროკომისარს საქართველოს პარლამენტის სპიკერმა დავით უსუფაშვილმა გამაბათილებელი სიტყვებით უპასუხა:

**„გაძლევთ ასეთ შეკითხვას: რა უკეთესია, გყავდეს ქვეყანაში — დიქტატორი თუ კაცი, რომელიც ინარჩუნებს არაოფიციალურ გავლენას პროცესებზე? დიახ, არაოფიციალური, კულისებს მიღმა მართვა — ეს ცუდია. მე ამას ვგმობ. მაგრამ არაფრის გაკეთება არ შეიძლება იმასთან დაკავშირებით, რომ არიან ადამიანები, რომლებიც სარგებლობენ საზოგადოებაში პატივისცემით და აქვთ ამ საზოგადოებაზე გავლენა. არაფორმალური მართვა — ესაა პრობლემა, რომლისგანაც თავი უნდა დავიცვათ. მაგრამ ფიქრობდე, რომ ეს არის საქართველოს მთავარი პრობლემა, არასწორია. ეს საკითხის არასწორი დასმაა“,** — განაცხადა უსუფაშვილმა.

მაგრამ სტუმრები ევროკავშირიდან ამით არ დანებებულან. ესტაფეტა მიიღო ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა ლინას ლინკიავიჩუსმა, რომელმაც განაცხადა, რომ „არ არის აუცილებლობა, ჩაამწყვდიო ოპოზიციის წარმომადგენლები ციხეში“. ლიტველმა მინისტრმა საკმაოდ მკაცრი ფორმით ურჩია საქართველოს ხელმძღვანელობას: „ნუ წუწუნებენ და გააგრძელონ ბრძოლა ადგილისთვის ევროპულ ოჯახში“. ლიტველი ჩინოვნიკის გამონათქვამებმა აღფრთოვანება გამოიწვია ოპოზიციის წარმომადგენელთა შორის, რომლებიც ასევე ესწრებოდნენ კონფერენციას.

თუმცა, „საჯარო საყვედურები“ დასავლელი პარტნიორებიდან ამით არ დამთავრებულა და კონფერენციის მონაწილეები გადავიდნენ თანამშრომლობის შემდგომ განხილვაზე, მათ შორის, უშიშროების საკითხებთან დაკავშირებითაც. საქართველოს ხელმძღვანელობის წარმომადგენლებს მოეწონათ „აქცენტები“, რომლებიც თავის გამოსვლაში გააკეთა კონფერენციის ერთ-ერთმა სტუმარმა, შეერთებული შტატების არმიის გენერალ-ლეიტენანტმა ბენ ხოჯესმა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელის სიტყვებით, ამერიკელი გენერლის გამოსვლა „სასიამოვნო სიურპრიზი“ გამოდგა.

**„გენერალ ხოჯესის გამოსვლა დღეს იყო, ალბათ, მთავარი თავისი მნიშვნელობით. ჩვენ გვიჩვენეს საკმაოდ საინტერესო აქცენტი, რომელიც მან გააკეთა. გენერალმა მეტად მკაფიოდ, სამხედროებისათვის დამახასიათებელი პირდაპირობით, განაცხადა, რომ რუსეთს პროვოკაციები არ სჭირდება, ვინაიდან იგი ისედაც უკვე ორმოცი წელია ახორციელებს აგრესიას. ვფიქრობ, როდესაც გესმის ასეთი რამ ამერიკელი გენერლისგან, ეს ბევრ რამეზე მეტყველებს. სხვათა შორის, გენერალთან ერთად ჩვენ განვიხილავდით ამერიკა-საქართველოს მომავალი სამხედრო სწავლების დეტალებს. ასე რომ, არ ველოდებოდი, რომ ის კონფერენციაზე გაიმეორებდა იმას, რაც მე დილით მითხრა, კერძოდ კი, რომ მომავალ სწავლებათა ერთ-ერთი ამოცანაა — გამოირკვიოს რამდენად სწრაფად შეუძლიათ ამერიკელ სამხედრო ტექნიკასა და ჯარისკაცებს ჩამოვიდნენ საქართველოში ამა თუ იმ ადგილიდან“,** — განაცხადა ხიდაშელმა.

უნდა აღინიშნოს, რომ საკითხი შეეხება სწავლებას, რომლებიც გათვალისწინებულია 2016 წლისთვის და რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს არმიის ნაწილები, აგრეთვე საბრძოლო ტექნიკა და საბრძოლო ქვედანაყოფები შეერთებული შტატებიდან. ამერიკელი სამხედროების სიტყვებით, რომლებიც გამოვიდნენ კონფერენციაზე მომავალი სწავლება იქნება ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური უკანასკნელ წლებში.

Эхо Кавказа



# ორიენტირი – უხუცეს მოქალაქეებზე ზრუნვა

**სულ უფრო მეტი ბრიტანელი ქალბატონი ასი წლის ასაკამდე ცოცხლობს, იქაური ხანდაზმული მამაკაცები კი ქრონიკული სნეულებებით ნაკლებად ავადდებიან.**

1990-დან 2013 წლამდე პერიოდში უხუცეს ბრიტანელ ქალბატონთა რიცხვი გაორმაგდა, ამჟამად ქალები მამაკაცებში ოთხჯერ უფრო მეტად აღწევენ 100 წლამდე ასაკს. ამავე დროს, ეს მაჩვენებელი მამაკაცებშიც გაიზარდა, ოღონდ გაცილებით ნაკლებად, მხოლოდ 30 პროცენტით.

იმის მიუხედავად, რომ ქალბატონები ახლა გაცილებით დიდხანს ცხოვრობენ, ქრონიკულ ავადმყოფობებს ისინი მაინც ძველებურად უჩივიან – მოტეხილობები, შარდის შეუკავებლობა, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, და ა.შ. ქალბატონებს ისევ აწუხებენ, როგორც ეს მე-20 საუკუნის მიწურულს იყო. სამაგიეროდ, ამავე ასაკის მამაკაცები შედარებით უფრო ჯანმრთელები არიან.

ამჟამად გაერთიანებული სამეფოს ჯანდაცვის სისტემა ყველაზე ხანდაზმულ ადამიანებზე იღებს ორიენტაციას – მართალია მათი პროცენტი კი მატულობს, მაგრამ ავადმყოფობები მაინც ძველებურად აწუხებთ.

# სწავლა თუ სიყვარული?

**სექსუალური ცხოვრება სწავლის წარმატებაზე მოქმედებს, მიაჩნიათ ამერიკელ მეცნიერებს, რომლებმაც კემბრიჯის უნივერსიტეტის 1000 სტუდენტის გამოკითხვის შედეგად გაარკვიეს, რომ ზღვარგადასული სექსუალური ურთიერთობები ახალგაზრდების აკადემიურ მოსწრებაზე ცუდად აისახება.**



ანკეტირებით დადგინდა, რომ მათ, ვისაც სხვებზე მეტი სექსუალური პარტნიორი ჰყავთ, დანარჩენებზე გაცილებით ცუდი მოსწრება აქვთ. მაგალითად, წმ.პეტრეს კოლეჯის სტუდენტებს, საშუალოდ ხუთი სქესობრივი პარტნიორი ჰყავთ, შესაბამისად, ისინი ამ უნივერსიტეტის სხვა კოლეჯების ახალგაზრდებს შორის მოსწრების რეიტინგებში ბოლო ადგილზე არიან. ქრაითს-კოლეჯის სტუდენტებს კი საშუალოდ სამი სექსუალური პარტნიორი ჰყავთ და ისინი ამ რეიტინგებში 1-2 ადგილებს იკავებენ სხვადასხვა დისციპლინაში.

ამასთან, გამოკითხვამ წარმოაჩინა, რომ სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები ერთმანეთისგან სექსუალური აქტივობითაც განსხვავდებიან. ყველაზე მეტი სექსუალური პარტნიორი – რვა – ჰყავთ **სამედიცინო** ფაკულტეტის სტუდენტებს, შემდეგ მოდიან **პოლიტოლოგები** (7), **ისტორიკოსები** (6), **ლინგვისტები** და **ფილოლოგები** (5), და **თეოლოგები** (2).

# ვნებანი... უნიტაზის გამო



**იტალიის ქალაქ ბოლცანოს მუზეუმის ადმინისტრაცია ძალ-ღონეს არ იშურებს თავისი კოლექციის უნიკალური ექსპონატის გადასარჩენად – ესაა უნიტაზი, რომელიც ... ქვეყნის ჰიმნს უკრავს!**

„პატრიოტული ტახტრევანი" ერთ-ერთი გამოფენის ექსპონატი იყო, რომელიც გამოფენაზე „ჯგუფური თერაპია" საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანეს. პარტია ეროვნული ალიანსის წარმომადგენლებმა მისი განადგურება მოითხოვეს იმ მოტივაციით, რომ იგი ერის ღირსებას შეურაცხყოფს. მუზეუმის იურისტები კი ამტკიცებენ, რომ ეს სისულელეა, რადგან რესპუბლიკის ჰიმნი მის ოფიციალურ სიმბოლოს არ წარმოადგენს. ალიანსის წევრები კი ცოტა ხნის წინანდელ მთავრობის დადგენილებას იშველიებენ, რომლის თანახმად ჰიმნი ეროვნულ სიმბოლიკასთანაა გათანაბრფებული, ასე რომ, უნიტაზის გამო სერიოზული ვნებათაღელვაა ატეხილი.

# ეკოქალაქი

**იაპონიაში მსოფლიოში ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა ქალაქი ფუჯი ააშენეს, სადაც ყველა სახლი მზის ენერგიას იყენებს, წყლის ხარჯი 30 პროცენტითაა შემცირებული, საზოგადოებრივ ტრანსპორტად ელექტრომობილებს იყენებენ, ინდივიდუალურად კი ხალხი ველოსიპედებით გადაადგილდება.**

ფუჯის ენერგოსტრუქტურა ქალაქის ცენტრალურ მოედანზე განთავსებული კომპლექსიდან იმართება. ქალაქი დიდი არ არის, იგი სულ ათას საცხოვრებელ ბინას ითვლის და მხოლოდ 3 ათას კაცზეა გათვლილი. მისი მშენებლობის ბოლო ეტაპი 2017 წელს დასრულდება.

მოსახმარებელი ელექტროენერგიის მესამედს ფუჯი მზის პანელებიდან მიიღებს, რაც ატმოსფეროში ნახშირწყალბადების გაფრქვევას 70 პროცენტით შე-



ამცირებს. ასევე 30 პროცენტითაა შემცირებული წყლის ხარჯი, ხოლო მიწისქვეშა ბიძგებისა და ძაბვის ვარდნით გამოწვეული გათიშვების შემთხვევაში, ქალაქი ელექტროენერგიითა და ცხელი წყლით სამი დღის განმავლობაში მაინც უწყვეტად მომარაგდება.

ფუჯიში არ არის ავტოგასამართი სადგურები, სამაგიეროდ მრავლადაა ელექტრომობილების გასამართი პუნქტები. ხოლო მათ, ვისაც ელექტრომობილები არა აქვთ, გადაადგილება ველოსიპედებით ან ელექტროსკუტერებით მოუწევთ.

# „მზიანი" ელექტროენერგია

**მსოფლიო ბანაკი აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში მზის ენერგიის წარმოებისა და მოხმარების პროექტებში ინვესტიციების სახით 5 მილიარდი დოლარის ჩადებას გეგმავს.**

პროექტის ავტორთა იდეის თანახმად, რომელიც წლის მიწურულამდე უნდა დასრულდეს, მასში შავი კონტინენტის ხუთი ქვეყანა უნდა ჩაერთოს, მათ შორის **ალჟირი, ეგვიპტე, მაროკო, ტუნისი** და **იორდანია,** რის შედეგად მსოფლიოში მზის ენერგიის მოხმარება სამჯერ გაიზრდება. მზის სადგურების მშენებლობა ინოვაციური ტექნოლოგიებით მიმდინარეობს – სარკეების მეშვეობით მზის სინათლეს ერთ წერტილში შეკრებენ, რომელიც წყალს გააცხელებს და ენერგოტურბინებს აამუშავებს.

11 ობიექტისგან შემდგარი კონსტრუქციის მშენებლობა 2011 წელს დაიწყო და მისი განხორციელების შემდგომ ატმოსფეროში გაფრთქვეული სათბური გა-



ზების ოდენობა 1,7 მილიონი ტონით შემცირდება, რაც, ფაქტობრივად, იგივეა, რაც მოხმარებიდან ერთბაშად 600 ათასი ავტომანქანა ამოიღონ.

<u>მომავლის ადამიანები</u>

# ბრიტანელმა მეცნიერებმა მომავლის ადამიანის გარეგნობის სავარაუდო პორტრეტი შეიმუშავეს

**მკვლევართა აზრით, 3000 წლისთვის ადამიანთა საშუალო სიმაღლე 2 მეტრს მიაღწევს, კანი მოყავისფრო იქნება, სიცოცხლის ხანგრძლივობა კი 120 წელი გახდება. მეცნიერები დარწმუნებულები არიან, რომ ათასი წლის შემდეგ კაცობრიობა ავადმყოფობებისკენ უფრო იქნება მიდრეკილი, მისი ფიზიკური მონაცემები კი დღევანდელზე გაცილებით სუსტი, რაც ტექნოლოგიური მიღწევების მიზეზებით იქნება გამოწვეული.**

ამავე დროს, სწორედ ტექნოლოგიების განვითარების წყალობით, მამაკაცებს უფრო სიმეტრიული სახეები, სპორტული აღნაგობა, ასევე კვადრატული ყბები და უხეში ხმები ექნებათ, რაც ტესტესტერონის ზემოქმედების შედეგი გახდება, რომელსაც ორგანიზმში ხელოვნურად შეიყვანენ.

ქალებს უბალნო კანი გაუნაზდებათ, ტანი კი მკერდსავსე და სიმეტრიული ექნებათ.

# დიზაინის მაგია



**მაინც რას ნიშნავს ბოლო დროს ასე მოდურად ქცეული სიტყვა „დიზაინი"?**

შესაძლოა, ამ სიტყვის გაგონებაზე ბევრს თვალწინ უცნაური ფორმის ლითონის სკამები, „მსუნთქავი" ნათურები, ფუმფულა წითელი ტუჩების ფორმის ტახტი, „მომღერალ" მცენარეთა ბაღი, კბილის მოყვანილობის რადიო, „გიჟური" საფერფლე, კიდევ ათასი ამგვარი რამ წარმოუდგება. ყველაფერი ეს მართლაც დიზაინის ნიმუშია, თუმცა კი თავად დიზაინის ცნება ამით არ ამოიწურება.

მსოფლიოში მრავალ გამართულ დიზაინერთა ფესტივალზე, მათ წევრებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ დიზაინი სულაც არ შემოიფარგლება ლამაზი და პრაქტიკული საგნებით, იგი მნიშვნელოვანწილად აზროვ-



ნების ახალ ხერხებს, ფარულ წარმოდგენათა განვითარების ახალ მიმართულებებსა და თავად მოხმარებაზე განსხვავებულ წარმოდგენებს ასახიერებს. მაგრამ, დიზაინის ყველაზე მთავარი მნიშვნელობა მაინც ის არის, რომ ამ გასაოცარ და ორიგინალურ ნამუშევართა შემხედვარებს ჩვენ თვალთახედვის კუთხის შეცვლა და ამით კაცობრიობის მომავლის წარმოსახვის ჰორიზონტის უსაზღვროდ გაშლა შეგვიძლია.

**ფოტოზე:** **ბამბუკის ველოსიპედი; U-ს მაგვარი სავარძლები**

# ათი ათასი ცხოველის ბაღი

**ისტორიული ცნობებით, ჩვ. წ.ა. 1152-1056 წ.წ. ჩინეთის ქალაქ სიანში მშვენიერი სპეციალური ბაღი არსებობდა, სადაც სხვადასხვა ცხოველებს, თევზებსა და ფრინველებს საგანგებოდ აშენებდნენ.**

ეს პარკი მხოლოდ იმპერატორის ოჯახის წევრთათვის იყო განკუთვნილი, ამდენად ზოოპარკს მას, სიტყვის თანამედროვე გაგებით, ვერ ვუწოდებთ.

პეკინის თანამედროვე ზოოპარკი კი ცინის დინასტიის (1644-1912 წ.წ.) მმართველობის დროს, 1908 წელს დაარსდა და თავდაპირველად „ათი ათასი ცხოველის ბაღი" ეწოდებოდა. მაშინ იქ 700-ზე მეტი ცხოველი გერმანიიდან ჩაიყვანეს.



ფეხბურთი

# პირველი ტაიმის ხიბლი და...



**ირლანდია-საქართველოს შესარჩევი მატჩის კომენტირებისას ერთმა ჩვენმა კოლეგამ ინატრა — ოღონდ არ წავაგოთ და ცუდად ვითამაშოთ, რადგან ღირსეულ ბრძოლებში დამარცხებები მოგვბეზრდაო.**

მართლაც, რაც დამოუკიდებლობა აღვიდგინეთ, კუნძულელებთან ზედიზედ მეშვიდედ გავწბილდით, თუმცა, ერთადერთი გამონაკლისის გარდა (0:4 2013 წელს) მეტოქეს კარგა გვარიანი ოფლისღვრა დასჭირდა სასურველი შედეგის მისაღწევად. სამწუხაროდ, ასე მოხდა ამჯერადაც.

**ირლანდია — საქართველო 1:0 (1:0)**

**გოლი:** უოლტერსი (38-ე წუთი)

სატურნირო მდგომარეობა მასპინძლებს უკან დახევის საშუალებას არ უტოვებდა — ისინი ხომ მხოლოდ ერთი ქულით უსწრებდნენ მხსნელი მესამე ადგილისთვის გაჩაღებულ პრინციპულ დუელში ამბიციურ მეზობლებს — შოტლანდიელებს, რომლებიც პარალელურად ჯგუფის ლიდერსა და ფავორიტს — ბუნდესნაკრებს ერკინებოდნენ.

შესვენებამდე ტრავმირებული ანანიძის გარეშე მოასპარეზე სტუმრები ტოლს არაფერში უდებდნენ ონილის გუნდს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბურთის ფლობის პროცენტული მაჩვენებლით აღემატებოდნენ კიდეც მას (52:48). დროის აღნიშნულ მონაკვეთში შეუდარებელი იყო კანკავა, რომელმაც „მწვანეთა" უამრავი იერიში ჩაშალა; ახალგაზრდობა გაიხსენა ხიზანიშვილმა, ვინც საყრდენის ფუნქციასთან ერთად დაცვის ცენტრალურ ზონასაც ჩვეული წარმატებით აზღვევდა; ოქრიაშვილმა კიდევ ერთხელ გაგვაოცა მოქმედების ფართო დიაპაზონითა და ფუნქციონალური მზადყოფნით; მაგრამ ეს მხოლოდ პირველ ტაიმში...

ვითარება რადიკალურად შეიცვალა შეხვედრის განახლებისთანავე, რასაც ხელი გლაზგოდან მისულმა ინფორმაციამაც შეუწყო — იქ თბილისიდან იმედგაცრუებულად დაბრუნებული სქოთები სანუკვარ ქულას იღებდნენ გერმანელებთან — 2:2. მოვლენათა ასეთმა განვითარებამ ირლანდიელთა თავკაცი აიძულა ფრთხილ ტაქტიკაზე უარი ეთქვა და შეგირდთა გააქტიურების მიზნით დამძიმებული ვეტერანის კინის ნაცვლად წინა ხაზზე მისი შვილისტოლა ყმაწვილი ლონგი გაემწესებინა.

აქედან მოყოლებული, უახლოესი წარსული გაგვახსენდა, როცა გაძლებაზე ვიყავით — როდემდე გავუძალიანდებოდით მოწინააღმდეგეს. ბუნებრივია, ყველაფერს დაღლილობაც დაემატა — სამი დღით ადრე ხომ შოტლანდიას შევაკვდით მაშინ, როცა კუნძულელებმა გიბრალტართან გაისეირნეს, პლიუს მომქანცველი მგზავრობა და მინდვრის ცენტრში თუნდაც ანანიძის კალიბრის ბურთის დამჭერის არყოფნა...

მოკლედ, კვანძი 70-ე წუთზე ჰენდრიქმა გახსნა, რომელმაც მარცხენა ფლანგზე ლობჟანიძე გააბითურა, შემდეგ საჯარიმოში მანამდე უშეცდომოდ მოთამაშე კვირკველიაც მოსვა ბალახზე და უოლტერსს ცარიელ კარში გაატანინა გადამწყვეტი გოლი.

თითქოს პრობლემათა დეფიციტს განვიცდიდეთ, საფინალო სასტვენამდე 10 წუთით ადრე მჭედლიძეს კუნთი გაუწყდა და რადგან ცხადაძეს სამივე შეცვლა განხორციელებული ჰქონდა, სარბიელზე ათნი დავრჩით, რამაც ჩვენს ილუზიებს წერტილი დაუსვა. ამასობაში გერმანია საბოლოოდ დაწინაურდა — 3:2 და ირლანდიელებმაც მშვიდად მიიყვანეს საქმე სასურველ დასასრულამდე — 1:0.

**გიორგი შოთაძე**

წყალბურთი

# ერთი წლით დაცდა მოუწევთ

**თბილისის საწყლოსნო კომპლექსმა „ოლიმპიკმა" წყალბურთელ ვაჟთა ჩემპიონთა ლიგის 2015-2016 წლების გათამაშების პირველ საკვალიფიკაციო ეტაპს უმასპინძლა.** C ჯგუფში თბილისის „ლოკომოტივი" (საქართველო), ჰანოვერის „ვასპო-98" (გერმანია), ბუდაპეშტის OSC (უნგრეთი) და მარსელის „მარსელი" (საფრანგეთი) დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ჩვენმა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში უმთავრესად საქართველოს ნაკრების წევრები გამოდიან, ამ ტურნირისთვის უცხოელი წყალბურთელებიც (სრდან აქსვეთიჯევიჩი, ფილიპ კლაჯევიჩი, დრაგან დრაშკოვიჩი) დაიმატა. თანამემამულეებს პირველ მატჩში სახელოვანი ქართველი სპორტსმენი რევაზ ჩომახიძეც ეხმარებოდა, მაგრამ რკინიგზელები მარცხს მაინც ვერ გადაურჩნენ.



**I ტური.** „ბუდაპეშტი" — „ჰანოვერი" 7:7 (0:0, 4:1, 0:2, 3:4), „ლოკომოტივი" — „მარსელი" 9:17 (4:5, 0:5, 3:2, 2:5).

**II ტური.** „მარსელი" — „ბუდაპეშტი" 10:10 (3:3, 3:1, 3:4, 1:2), „ლოკომოტივი" — „ჰანოვერი" 9:11 (2:2, 2:4, 2:4, 3:1).

**III ტური.** „ჰანოვერი" — „მარსელი" 10:8 (1:0, 3:3, 5:2, 1:3), „ლოკომოტივი" — „ბუდაპეშტი" 3:15 (1:4, 0:3, 0:6, 2:2).

„ლოკომოტივმა" ამ მატჩებში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ნიკოლოზ შუბლაძე, ზურაბ რურუა, გიორგი ხვედელიანი, კონსტანტინე გეგელაშვილი, მიხეილ ბაღათურია, ლევან ჩიქვინიძე, რევაზ ჩომახიძე, ბექა ქავთარაძე, სრდან აქსვეთიჯევიჩი, ფილიპ კლაჯევიჩი, დრაგან დრაშკოვიჩი, ალექსანდრე რუსიშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე, **მთავარი მწვრთნელი** ზვიად დავითიანი.

**საბოლოო მდგომარეობა:** „ვასპო-98" ჰანოვერი (გერმანია) — 7 (28:24), OSC ბუდაპეშტი (უნგრეთი) — 5 (32:20), „მარსელი" მარსელი (საფრანგეთი) — 4 (35:29), „ლოკომოტივი" თბილისი (საქართველო) — 0 (21:43) ქულა. „ჰანოვერი" და „ბუდაპეშტი" ჩემპიონთა ლიგაში განაგრძობენ თამაშს, „მარსელი" ევროლიგის გათამაშებაში ჩაებმება, „ლოკომოტივს" კი ერთი წლით მოუწევს დაცდა.

**ლექსო ცინცაძე**

# „ბარსას" მორიგი აღიარება

**კატალონიის „ბარსელონა" პირველია, რომელიც ევროპის საფეხბურთო კლუბების ასოციაციის (ECA) ვერსიით მეორედ გახდა სეზონის საუკეთესო გუნდი. პირველად აღნიშნული პრიზი კამპ ნოუელებს 2011 წელს მიანიჭეს.**



2014-15 წლების სეზონში ლუის ენრიკეს მიერ დამოძღვრილმა „ბარსელონამ" თავი როგორც საშინაო, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე გამოიჩინა. „ბარსამ" ესპანეთის პრიმერა დივიზიონი და ქვეყნის „სამეფო თასი" მოიპოვა, აგრეთვე ჩემპიონთა ლიგა და ევროპის სუპერთასი დაისაკუთრა.

ჯილდო ბარსელონელებს ECA-ს პრეზიდენტმა კარლ — ჰაინც რუმენიგემ გადასცა. „ბარსელონა" ერთადერთი საფეხბურთო კლუბია, რომელმაც ორჯერ დაიმსახურა ეს პრიზი.

**მანუჩარ გიორგაძე**

კალათბურთი

# პარკერის რეკორდი

**2015 წლის ევროპის ჩემპიონატზე უკვე დაფიქსირდა პირველი რეკორდი. ტონი პარკერმა ლეგენდარული ბერძენი კალათბურთელის ნიკოს გალისის (1030 ქულა) მიღწევა დაამხო.**




ფრანგს პოლონეთთან გამართულ მატჩში ერთი ქულის მოპოვება უნდოდა, რათა ევრობასკეტის ყველა დროის საუკეთესო მექულე გამხდარიყო. პარკერმა განვლი მატჩში 16 ქულა მოაგროვა და გალისს ამდენივე ქულით გაუსწრო. ლოგიკურია, რომ პარკერი მომდევნო მატჩებშიც გააუმჯობესებს თავის შედეგს.

რაც შეეხება თამაშს, მონპელიეში მისულმა გულშემატკივრებმა დაძაბული შეხვედრა იხილეს. ფრანგებმა მეტოქე მეორე მეოთხედის ბოლოს გატეხეს, შესვენების შემდეგ უპირატესობა გაზარდეს და პოლონელებს გაქცევის საშუალება არ მისცეს. — 69:66.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ჩოგბურთი

# სენსაციათა წვიმა

**ამერიკის ღია ჩემპიონატი ბრიტანელი ჩოგბურთელის ენდი მარეის გარეშე გაგრძელდება. მსოფლიოს მესამე ჩოგანი მე-14 ნომერ კევინ ანდერსონთან მოულოდნელად 4 სეტში დამარცხდა. აქამდე ტურნირს რაფაელ ნადალი, კეი ნიშიკორი და დევიდ ფერერი გამოეთიშნენ.**



შოტლანდიელმა 19 ეისი მოაწოდა, ხოლო სამხრეთაფრიკელმა — 25. მატჩი 4 საათს გაგრძელდა და მაყურებლებმა სამი ტაიბრეიკი იხილეს. საჩოგბურთო ლატარეაში ორჯერ იღბალი ანდერსონის მხარეს გახლდათ. ურთიერთშეხვედრებში კევინმა მარეის უკვე მეორედ მოუგო — (2:5).

შესანიშნავ ფორმაში იმყოფება პლანეტის მეორე ჩოგანი როჯერ ფედერერი. შვეიცარიელის მსხვერპლი ამჯერად ჯონ ისნერი გახდა. ეისებით სახელგანთქმულმა ამერიკელმა „მაესტროს" ვერაფერი დაუპირისპირა და სამ სეტში დაშამათდა. ჯონმა მხოლოდ ორი აუღებელი მოწოდებით აჯობა ფედერერს (17:15). პირველი ორი სეტი შვეიცარიელმა ტაიბრეიკზე მოიგო, ხოლო მატჩის ერთადერთი ბრეიკი ბოლო სეტში განახორციელა, მეტოქეს მოწოდება აართვა და მეოთხედფინალში გავიდა. მიმდინარე გათამაშებას როჯერი სეტწაუგებლად ატარებს, ბოლო 21 მატჩში კი მხოლოდ ერთი მარცხი განიცადა.

რიშარ გასკემ ტომაშ ბერდიხი 4 სეტში დაჯაბნა. შეხვედრა 2 საათი მიმდინარეობდა. ფრანგმა 8-დან 6 ბრეიკი გამოიყენა, ხოლო ჩეხმა 9-დან — 4. ეისები თანაბარი გახლდათ — 12:12, ურთიერთშეხვედრებში კი გასკემ ანგარიში გაათანაბრა — 7:7.

როლან გაროსის მოქმედმა გამარჯვებულმა სტანისლას ვავრინკამ დონალდ იანგი ოთხ სეტში დაამარცხა. შვეიცარიელმა მეორე სეტი 1:6 დათმო, თუმცა გონს მალევე მოეგო და ზედიზედ ორ სეტში იმარჯვა.

მეოთხედფინალში ჟო-ვილფრიდ ცონგა მარინ ჩილიჩს დაუპირისპირდება, ნოვაკ ჯოკოვიჩი ურთიერთობას ფელისიანო ლოპესთან გაარკვევს, რიშარ გასკე როჯერ ფედერერის კარიერაში მესამედ დამარცხებას, ხოლო ანდერსონი მორიგი სენსაციის მოხდენას ვავრინკას წინააღმდეგ შეეცდება.

**კობა კობახიძე**

ინტერნეტიდან

# ჩიჩოლინა და სილვიოს „ნაბადი"

**მობერებულ-მოფამფალებული იტალიელი პორნოვარსკვლავი ჩიჩოლინა, როგორც იცით, „მილანის" დიდი ქომაგია და როგორც ავი ენები ამბობენ, ამ კლუბის ტრფობა ჩიჩოლინას გულში მას შემდეგ ჩაუვარდა, რაც სილვიო ბერლუსკონისთან სარეცელი გაიზიარა და თავისი სექსის ტექნიკა დონ სილვიოზე გამოსცადა.**



ერთი პერიოდი ჩიჩოლინა თავისი თავდაუზოგავი შრომით მოპოვებული დანაზოგის „მილანში" დაბანდებასაც კი აპირებდა, აქაოდა სხვებმაც მე მომბაძონ და არ ინანებენო, მაგრამ ერთი თენგიზ სიგუას შემოტანილი კენიური ხორცი არ უნახავს ქართველ ერს და მეორე მილანელ ტიფოზებს არ უგემიათ ჩიჩოლინას ფულის მოტკბო გემო.

ისე, ჩიჩოლინამ უნდა თქვას, გავლენა და გაქანება მე მქონიაო. ამ მრავლისმნახველმა და ათას პრობლემებზე გადანავლებმა ქალმა იმდენი მოახერხა, რომ იტალიის პარლამენტის წევრიც კი იყო და ეს მაშინ, როდესაც სილვიო ბერლუსკონის ზეობის ჟამი იდგა და თავისი გავლენების დიდი ნაბადი ბეჭზედ ჰქონდა წაფარებული.

**როსტომ რაჭველიშვილი**

# რატომ გაძვირდა რძე და რძის ნაწარმი?



**მეწარმეები ამბობენ, რომ ფასის ზრდა რეგულაციების შემოღებას უკავშირდება.**

**ნატურალურ რძეზე მოთხოვნის ზრდამ წარმოებული პროდუქტის გაძვირება გამოიწვია. არადა, ახლა თითქმის ყველა პირობაა, რომ რძის ნაწარმზე ფასები შენარჩუნებულიყო. წველადობა მაღალია და არც საქონლის საკვები პროდუქტების ფასი გაძვირებულა, პირიქით, შარშანდელთან შედარებით გაიაფდა კიდეც.**

სოფლის მეურნეობის სამინისტროში კი აცხადებენ, რომ რეგულაციების შემოღებას ფასების ზრდასთან კავშირი არა აქვს.

„რძის ტექნიკური რეგულაციის მთავარი ამოცანა მომხმარებლის უფლებების დაცვისკენ არის მიმართული და არა — ფასების ზრდისკენ. მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რას ყიდულობს და რა არის ამ პროდუქციის შიგთავსი. მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რომ იყიდა რძის პროდუქტი, რომელიც დამზადებულია რძის ნედლეულისგან და მასში არც ერთი გრამი მცენარეული, ან სხვა გზით მიღებული ნედლეული არაა. ამიტომ მეწარმე თუ აპირებს, რომ გამოიყენოს ტრადიციული სახელწოდებები რძე, ყველი, ხაჭო, მაწონი ისინი აუცილებლად რძის ნედლეულისგან უნდა აწარმოოს. ყველაზე მთავარი, რაც ბევრმა არ იცის, მცენარეული ცხიმებისა და ცილების ბაზაზე დამზადებული რძის პროდუქტები შესაძლოა, მომხმარებლისთვის ალერგიული იყოს. ახალი რეგულაციის ამოქმედებამდე მომხმარებელი ტყუვდებოდა, ეგონა, რომ რძის ნედლეულს ყიდულობდა, სინამდვილეში კი 90% მცენარეული ცხიმებია. თუ პროდუქციას აწერია არაყანი, მომხმარებელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამას სახელმწიფო აკონტროლებს, მის უფლებებს იცავს და ფალსიფიკაციას არ დაუშვებს,“ — აცხადებენ სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

**არადა რძე და რძის ნაწარმი 15—20 პროცენტით გაძვირდა.**

**თიკო გურაშვილი**

## ინფორმაცია საჯარო განხილვების შესახებ

**500 კვ-იანი ვარძია ელექტროგადამცემი ხაზის სექციის, მარნეულის ქვესადგურში შესვლისა და გამოსვლის მშენებლობის პროექტი**

გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის 2015 წლის 8 სექტემბერის № 167-ში შპს „ენერგოტრანსის“ მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში დაშვებული იქნა უზუსტობა — განცხადების პირველი სტრიქონის წინადადებაში „2015 წლის 9 ოქტომბრიდან“ მაგივრად უნდა იყოს: **„2015 წლის 9 სექტემბრიდან“.**

## ყაჩაღების ჯგუფი დროულად აიყვანეს

**იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, წარსულში ნასამართლევი ოთხი პირი: 1993 წელს დაბადებული რუბენ ჯ, 1988 წელს დაბადებული ალექსანდრე გ, 1993 წელს დაბადებული დიდიმი ა. და 1993 წელს დაბადებული ლადო ა. დააკავეს.**

ნიღბიანი და ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ბრალდებულები მიმდინარე წლის 2 სექტემბერს ხონის რაიონის სოფელ მათხოჯში რობიზონ ხურცილავას ოჯახს ყაჩაღურად თავს დაესხნენ, მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და სიცოცხლის მოსპობის მუქარით გაიტაცეს ოჯახის კუთვნილი სამკაულები და „ფოლკსვაგენის“ მარკის ავტომანქანა.

პოლიციამ ავტომანქანა იმავე დღეს, წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკში იპოვა. სამართალდამცველებმა ოთხივე ბრალდებული დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე დღეში, ქუთაისსა და ზესტაფონში დააკავეს, ხოლო ხურცილავას ოჯახიდან წაღებული სამკაულები ქუთაისში, სხვადასხვა ლომბარდიდან და დაკავებულების საცხოვრებელი სახლებიდან ნივთმტკიცებად ამოიღეს. ბრალდებულების პირადი ჩხრეკისას ამოღებულია „ზიგზაუერის“ ტიპის პისტოლეტი 1 მჭიდითა და 2 საბრძოლო ვაზნით, „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი 3 საბრძოლო ვაზნით და ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი. ნარკოლოგიური შემოწმებით დიდიმი ა-ს ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის, ხოლო გურამ ა-ს ოპიუმის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

---

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის მონაწილე, საქართველოს შეიარაღებული ძალების ვეტერანი, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე**

**ვახტანგ ყოლბაია**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოების ღვაწლმოსილი წარმომადგენელი, ცნობილი სახელმწიფო და აქტიური საზოგადო მოღვაწე, აფხაზეთის ომის ვეტერანი, ჭეშმარიტი პატრიოტი მამულიშვილი, სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი, მრავალი სახელმწიფო ჯილდოების კავალერი**

**ალექსანდრე მოსკალენკო**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჭეშმარიტად ღირსეული ქართველი საზოგადო მოღვაწე, ჩვენი გაზეთის ძველი ავტორი და მეგობარი, ადამიანობისა და კეთილშობილების უტყუარი ეტალონი**

**რეზო ფაჩულია**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**ნანა, დავით ხაზარაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი დასტაქარი, ქართული ხალხური ცეკვის დიდოსტატი, ნათელი პიროვნება**

**ილიკო თაყაიშვილი**

**საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება რომ გია მიროტაძეს გარდაეცვალა დედა**

**ნუნუ მიროტაძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
2 93-37-87.

# 1 დოლარად კარგად დანაყრდები, 100 დოლარად მთელი თვე იცხოვრებ

## ქვეყნები, სადაც ცხოვრება იაფი დაგიჯდებათ

**მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო მესამე ეკონომიკური კრიზისის ზღვარზეა და ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ძვირდება გადასახდები, პროდუქტსა და მომსახურებაზე ფასები, არის ქვეყნები, სადაც ცხოვრება ძალიან იაფია.**

**გთავაზობთ იმ ქვეყნების ჩამონათვალს, სადაც 1 დოლარად შეგიძლიათ კარგად ისადილოთ, 100 დოლარად კი მთელი თვის განმავლობაში იცხოვროთ.**

### ინდონეზია

ინდონეზიაში ხელგაშლილად ცხოვრება მცირე ბიუჯეტითაც შეგიძლიათ. ფასები ამ ქვეყანაში ძალიან დემოკრატიულია: აქ შეგიძლიათ 1 დოლარზე ნაკლებ თანხად ისადილოთ, ყოველთვიურად კი 150 დოლარად შესანიშნავად იცხოვროთ. თუმცა, ინდონეზიაში უმუშევრობის საკმაოდ მაღალი დონეა, ამიტომ თუ აქ ცხოვრებას გადაწყვეტთ, ინტერნეტით მოგიწევთ მუშაობა.

### კამბოჯა

კამბოჯა იმ ქვეყნებს მიეკუთვნება, სადაც მოგზაურობა ერთ-ერთი ყველაზე იაფია. თუმცა, ძვირი არც ამ ქვეყანაში ცხოვრებაა. სულ რაღაც 5 დოლარად ადგილობრივი მეთევზეები უგემრიელეს კერძებს მოგიმზადებენ პირდაპირ თქვენს თვალწინ. ნებისმიერი სახის ზღვის პროდუქტების შეძენა კი 1-2 დოლარად არის შესაძლებელი. თუმცა, კამბოჯა მეტწილად იმ ადამინებისთვის არის განკუთვნილი, ვისაც ცივილიზაციიდან შორს ცხოვრება უყვარს.

### ლაოსი

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფო განთქმულია ულამაზესი მთებით, ბუდისტური მონასტრებითა და მდინარეზე მოცურავე ნავებით, რომლებიც სასურველ კაფე-ბართან მიგიყვანთ. ლაოსში დღე-ღამეში ცხოვრება 9-დან 20 დოლარამდე დაგიჯდებათ, სადილი კი 1-დან 5 დოლარამდე.

### ტაილანდი

მიუხედავად იმისა, რომ ტურისტებს შორის ტაილანდი აზიურ ქვეყნებთან შედარებით, მცირედით ძვირია, ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით, აქ ცხოვრება მაინც იაფია.

მთლიანი სახლის დაქირავება ტაილანდში ყოველთვიურად 160-320 დოლარი დაგიჯდებათ, სადილი 1-3 დოლარი. ასევე აღსანიშნავია, რომ ტაილანდის ზოგიერთ სოფლებში, ჯუნგლების შუაგულში სახლის დაქირავება დღე-ღამეში 4 დოლარად შეგიძლიათ.

### ინდოეთი

ეკონომიკური თვალსაზრისით ინდოეთში ცხოვრება საკმაოდ ხელსაყრელია. 100-110 დოლარი საკმარისია იმისთვის, რომ მთელი თვის განმავლობაში ორ ადამიანზე აპარტამენტები იქირავოთ. ქათმის გემრიელი წვნიანი სულ რაღაც 40 რუპი (დაახლოებით 60 ცენტი) დაგიჯდებათ, მთლიანი სადილის სანაცვლოდ კი 1-2 დოლარის გადახდა მოგიწევთ.

### ნეპალი

ნეპალი ნამდვილი სამოთხეა შეზღუდული ბიუჯეტის მქონე ტურისტებისთვის. კვებისთვის შეგიძლიათ დღეში მხოლოდ 1 დოლარი გამოყოთ. თუმცა, რესტორანში სადილი ოდნავ ძვირი დაგიჯდებათ - ყველაზე ძვირი კერძი ნეპალის რესტორნებში 8 დოლარი დაგიჯდებათ, კატმანდუში ერთოთახიანი ბინის დაქირავება კი დღეში 1-2 დოლარი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი კი 0,2 დოლარი ღირს.



### ჩინეთი

ნეპალისგან განსხვავებით, რა თქმა უნდა, ჩინეთი საკმაოდ ძვირი ქვეყანაა. თუმცა სხვა დიდ ქვეყნებთან შედარებით, აქ მართლაც სიიაფეა, განსაკუთრებით ტრანსპორტის მხრივ. ასე მაგალითდ, ტაქსით მგზავრობა 1 დოლარი ღირს, სადილი კი 2 დოლარი.

### ბულგარეთი

ბულგარეთში ბინის დაქირავება თვეში 200 დოლარად შეგიძლიათ , ერთი ბოთლი ლუდის შეძენა კი სულ რაღაც 0,80 დოლარად.

### ნიკარაგუა

დაწყებული კვებიდან, დამთავრებული ბინის დაქირავებით ამ ქვეყანაში ყველაფერი ძალიან იაფი ღირს. თვეში 995 დოლარად ორ ადამიანს შეუძლია მეფურად იცხოვროს — დაიქირავოს დიდი, მდიდრული სახლი, გადაიხადოს გადასახადები, ისადილოს რესტორანში და იყოლიოს შინამოსამსახურე.

### გვატემალა

გვატემალაში ბინის დაქირავება ყოველთვიურად 200 დოლარის სანაცვლოდ შეგიძლიათ. ასევე საკმაოდ იაფი ღირს კვებაც - კვირაში 24 დოლარი.

### ჰონდურასი

ერთ-ერთი ყველაზე სწრაფადმზარდი ტურისტული მიმართულება მსოფლიოში. ამიტომ აქ ყველაფერი ძალიან იაფი, ლამაზი, მხიარული და გემრიელია. რესტორანში გემრიელი კერძის შეკვეთა სულ რაღაც 3 დოლარად შეგიძლიათ.

### მექსიკა

მექსიკის ქალაქი გუანახუტაო ნამდვილი სამოთხეა ტურისტებისთვის. ქალაქში ბინის დაქირავება 150-200 დოლარი ღირს ერთი თვის განმავლობაში, ბარში ლუდის სანაცვლოდ 1 დოლარის გადახდა მოგიწევთ, კინოს ბილეთს კი 3 დოლარად იყიდით.

### ალბანეთი

ალბანეთის სამხრეთ ოკეანეთი იდეალური ადგილია მშვიდი ცხოვრებისთვის. ბინის დაქირავება თვეში 100-120 დოლარად არის შესაძლებელი, ერთი ბოთლი ლუდი კი 90 ცენტი ღირს. კაფეში ზღვის პროდუქტებით დამზადებული კერძის საშუალო ფასი 6 დოლარია, ერთი ბოთლი ღვინო კი 6 დოლარი დაგიჯდებათ.

თუ გსურთ...

# წარმატებული ადამიანის 10 წესი მსოფლიოს ფსიქოლოგებისგან...

1. გაალღვივე შენში განწყობა, რომელიც სავსე იქნება იმ საქმისადმი სიყვარულით რითაც დაკავებული ხარ, არ დაივიწყო, რომ ეს შენი არჩევანია!

2. ცხოვრების გამოცდებისთვის მოემზადე გონებრივად და ფიზიკურად. ეცადე, იყო სულით და ხორცით ჯანმრთელი. თუ არ იცი — ისწავლე!



3. იყავი ყოველთვის პოზიტიურად განწყობილი. ნუ შეგეშინდება რთული ამოცანების დასახვის. სტრესი - საკუთარ თავში დაურწმუნებლობის შედეგია, ამიტომ გჯეროდეს და ენდე საკუთარ თავს.

4. ნებისმიერ სიტუაციაში შეიძლება გაითქვიფო იმაში, რასაც აკეთებ მოცემულ მომენტში. არ იცხოვრო წარსულით და არ განვლო მომავალი დღეს — ეს დამარცხების ტოლფასია. იყავი აწმყოში!

5. ფიქრი მატერიალურია. გააკონტროლე საკუთარი ფიქრები. თუ შენი გონება მშვიდია, სხეულიც არ იქნება დაძაბული. გახსოვს საიდან მოდის დაავადებები? და პირიქით, თაგვივით შიში მოწმობს ფსიქოლოგიურ კონფლიქტზე — ეძებე მიზეზი საკუთარ ფიქრებში, შეცვალე სიტუაცია.

6. თუ არ შეგიძლია სიტუაციის შეცვლა, მაშინ შეცვალე მის მიმართ დამოკიდებულება. ჩვენ სიტუაციას ყოველთვის ისე ვხედავთ, როგორც შეგვიძლია რომ დავინახოთ. დაკავდი თვითგანათლებით, გაიფართოვე ხედვა.

7. მობილიზდით იმაზე, რაც უნდა გააკონტროლო და გამოერთე იმას, რაც შენს შესაძლებლობებს აღემატება. იცოდე დროულად გაჩერება, რომ ძალები მოიკრიბო და უფრო მაღალი ბარიერი გადალახო.

8. მარცხი მიიღე როგორც გამოცდილება. საკუთარი შეცდომების გაგებამ უნდა მიგიყვანოს სამომავლო გამარჯვებასთან. ნუ ჩამოუშვებ ხელებს და ნუ გადგები განზე როგორც წარუმატებელი ადამიანი.

9. მთავარია ნებისმიერი პროცესისგან, რასაც შენ აკეთებ, მიიღო სიამოვნება. მნიშვნელობა არა აქვს რა არის ეს — სპორტი, სწავლა, ბიზნესი, ოჯახი თუ სხვა და მაშინ წარმატება შენთან ერთად იქნება!!!

10. თუ გინდათ, რომ თქვენით აღფრთოვანდნენ — იმუშავე საკუთარ თავზე!

# გაკუკუნება-გაჭაჭუნების სიკეთე

**ყველამ ვიცით, რომ საზოგადოებაში გაზების გაშვება მიუღებელია და დიდ უხერხულობასაც იწვევს, მაგრამ, ამასთანავე ისიც ცნობილია, რომ მათი დიდ ხანს შეკავება ორგანიზმისთვის მავნეა.**

— ადამიანის კუჭ-ნაწლავში წარმოქმნილი გაზები — ესაა ჩვენს შიგნით დიდი ოდენობით არსებული მიკროფლორის მოქმედების შედეგი, — ამბობს ფიზიოლოგი ნიკოლაი ზახაროვი. — ეს, პრინციპში, ბუნებრივი პროცესია, მაგრამ ის ზოგჯერ შესაძლოა, დაავადების ნიშანიც იყოს. **კუჭ-ნაწლავში გაზების დაგროვების სიჭარბეს მეტეორიზმი ეწოდება.** საეჭვოა ვითარება, როცა გაზების გამოშვების გახშირებული მოთხოვნა ნორმალური კვებისა და კუჭის ნორმალური მოქმედების დროს ხდება. ამიტომ საჭიროა ამის მიზეზის დადგენა.

ერთია, როცა საკვები არ შეესაბამება ადამიანის საჭმლის მონელების თავისებურებებს, რომელიც ყველას განსხვავებული აქვს. სხვა საქმეა პათოლოგია. როგორც წესი, **გაზების გამოშვების ხშირი მოთხოვნილება — ესაა დისბაქტერიოზის ნიშანი.** მოთმენა, ამ დროს, მართლაც მავნეა, განსაკუთრებით ბავშვებისთვის, რადგან საჭმლის მონელების პროცესში მათში ჩამოყალიბების პროცესშია, ამიტომაც ყველა დარღვევა უფრო სწრაფად ხდება. **გაზების გამოშვებისგან თავის შეკავებას ტკივილები და სპაზმები მოჰყვება.**

მაშ, როგორ უნდა მოიქცეთ? სად გავაკუკუნოთ და გავაჭაჭუნოთ? იმის გამო, რომ გაზების გამოშვება საზოგადოებაში მიღებული არ არის, ყველაზე მარტივი გამოსავალია განზე გასვლა, სადაც არავინ არ დგას. ამასთან, სასურველია ქუჩაში, ჰაერზე გასვლა, თუმცა ყველაფერს სჯობს ტუალეტში შეხვიდეთ.

**ინფორმაცია თემაში**

**რომელი სურსათი იწვევს ჭარბ გაზწარმოქმნას?**

- **ლებნიანები (განსაკუთრებით მუხუდო);**
- **ვაშლი;**
- **ძლიერ გაზიანი სასმელები;**
- **შავი პური;**
- **კომბოსტო;**
- **რძის პროდუქტები (ლაქტოზის აუტანლობის დროს).**

ჩვენი კარაბადინი

# ვის განკურნავს ცხენი

**ჩემი დაქალის ბავშვი აუტიზმისგან იტანჯება. გავიგე, რომ ასეთ ბავშვებს ძალიან ეხმარება ცხენზე ჯდომა. მართლა ასეა?**

**ნინო, ოზურგეთი**

**გვიპასუხებს იპოთერაპევტი გალინა გაბაშვილი:**



— ტერმინი „იპოთერაპია“ (რაც, თუ ვთარგმნით, „ცხენით მკურნალობას“ ნიშნავს) გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში გაჩნდა. მძიმე დაავადებათა მკურნალობის ამ მეთოდის ფუძემდებელი დანიელი ლიზ ჰარტელი გახდა. ოცი წლის ასაკში, ეს ქალბატონი ავად იყო პოლიომიელიტით და მიჯაჭვული იყო ეტლზე, ეს გასაოცარი ქალი წლების განმავლობაში ებრძოდა თავის პარალიზებულ ფეხებს და დაუძლურებულ ხელებს და გახდა ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანი. ლიზ ჰარტელის გამოცდილებით აღფრთოვანებულ სამკურნალო ფიზკულტურის ექიმებსა და სპეციალისტებს გული მოეცათ. იპოთერაპიის ცენტრები ერთიმეორის მიყოლებით იხსნებოდა მთელ მსოფლიოში. ჯერ ევროპასა და აზიაში, შემდეგ სხვა ქვეყნებშიც.

იპოთერაპიას მართლაც სასწაულების მოხდენა შეუძლია. განსაკუთრებით როდესაც ცხენოსანი ხდება ბავშვი, რომელმაც სამყარო მხოლოდ ინვალიდის ეტლიდან იხილა. ცხოველის თბილი ზურგი (ცხენის სხეულის ტემპერატურა, როგორც ცნობილია, ადამიანისაზე მაღალია) ბუნებრივად უკეთებს მასაჟს და დადამბლავებულ ფეხებს. ცხოველის რიტმულ ნაბიჯს ნორმაში მოჰყავს მხედრის მოძრაობის დარღვეული მოტორიკა, იმის აუცილებლობა კი, რომ იჯდეს ცხენზე, აიძულებს მისი ყველა ჯგუფის კუნთს, იმუშაოს ჰარმონიულად და საშუალებას აძლევს, მეცადინეობის უკვე ერთი თვის შემდეგ შეცვალოს ინვალიდის ეტლი ჯოხით ან ყავარჯნებით.

„ცხენებით მკურნალობა“ კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს მათზეც, ვისაც დაუნის სინდრომი, ოლიგოფრენია, აუტიზმი აწუხებდა. ზოგჯერ იპოთერაპია ლამის ერთადერთი მეთოდია, რომელსაც შეუძლია აღანთოს ასეთ ბავშვებში ინტერესების ნაპერწკალი გარემობუნებისადმი.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
2 93-37-87.

ცინცხალი ანეკდოტები

**— ექიმო, წამლის მიღების რეჟიმს ხომ ვერ შემიცვლით?**

**— რა ხდება?**

**— თქვენ დღეში ოთხი აბი გამომიწერეთ ჭამის შემდეგ, მე კი მინდა, ორ დღეში ერთხელ რვა-რვა აბის მიღება რომ დამინიშნოთ.**

**— კი მაგრამ, რატომ ასეთი უცნაური გრაფიკით?**

**— იმიტომ რომ ყოველ დღე ოთხჯერ ჭამაზე პენსია არ მყოფნის!**

* * *

**ჩვენში ორი უვარგისი პატარა ბანანი კილოგრამ კარტოფილზე ძვირი ღირს, სამი ცალი კივის იმდენივე ფული უნდა, რამდენიც ერთ კილოგრამ კომბოსტოს...**



**ძალაუნებურად დაფიქრდები კაცი — რომელ ქვეყანაში და რომელ განედზე ვცხოვრობთ?**

* * *

**— კაცო, გუშინ მთელი დღე ტელევიზიით პარლამენტის სხდომას ვუყურებდი. ჯერ რომ შევხედე, ყველას ჭკვიანური გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ, მერე, რომ ალაპარაკდნენ...**

* * *

**პოლიციელები განყოფილებაში რეკავენ, შემთხვევის შესახებ უფროსებს პატაკს აბარებენ:**

**— რა ხდება, რა მოხდა? — ეკითხება უფროსი.**

**— მკვლელობის მცდელობაა სხეულის მძიმე დაზიანებებით. 35 წლის მამაკაცი ცოლმა ტაფით სცემა იმის გულისთვის, რომ ახლადგარეცხილ იატაკზე ფეხსაცმლით გაიარა. მამაკაცი უგონო მდგომარეობაში „სასწრაფოს“ მანქანამ საავადმყოფოში წაიყვანა.**

**— ცოლი თუ დააკავეთ?**

**— ვერ დავაკავეთ, უფროსო, იატაკი ჯერ კიდევ სველია...**

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურაბ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე